# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 12 აპრილი, 2012 წელი.

№69 (6946)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# პირველად მსოფლიოში



ბიძინა ივანიშვილს ხინჯად ჩაუთვალეს ის, რომ იგი ნატურალიზაციის განაცხადის შეტანის მომენტში ჯერ კიდევ იყო სწორედ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე და მიუხედავად იმისა, რომ მას უკვე შეტანილი ჰქონდა განაცხადი ამ მოქალაქეობის დატოვებაზე, ფორმალური და ყურით მოთრეული მიზეზით უარი უთხრეს ნატურალიზაციაზე!

სწორედ აქ არის აბსურდი. სუპერაბსურდი!

3



## ეროვნული მოძრაობა და ინტელიგენცია

4

## „სდექით მტკიცედ და შეურყევლად!“

4




## მენავთობე გველეშაპები და ჰიბრიდული ბობოხიძე

2



## საქართველოში ადგილობრივი წარმოების უპილოტო აპარატი გამოსცადა

8



## რუსეთში სულხან-საბა ორბელიანისა და ბაგრატიონების საფლავები ნადგურდება?..



7

## ლოთი ქობალია კვლავ იმუქრება

9

## ფრანგები მხოლოდ ორამდე ითვლიან

5

ინფორმაცია

## ბიძინა ივანიშვილი: ფრენკ ვიზნერთან ვიმსჯელეთ იმაზეც, როგორი კრიზისი გველოდება არჩევნებში ჩვენი თეორიული გამარჯვების შემთხვევაშიც კი

**„ქართული ოცნების“ ლიდერმა გაეროში აშშ-ის ყოფილ ელჩ ფრენკ ვიზნერისგან საინტერესო რჩევები მიიღო. როგორც ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს შეხვედრის შემდეგ განუცხადა, შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო, რომელზეც გამოჩნდა, რომ ფრენკ ვიზნერმა ბევრი რამ იცის საქართველოს შესახებ.**

„გაოცებული ვარ მისი ცოდნით საქართველოს შესახებ. საქართველოს კონსტიტუციაც კი მან გაცილებით უკეთ იცის, ვიდრე — ჩვენმა ზოგიერთმა პოლიტიკოსმა და კარგად აცნობიერებს იმ ცვლილებებს, რაც ბოლო დროს განხორციელდა. მან საკმაოდ რთული კითხვები დამისვა და ვიმსჯელეთ იმაზეც, როგორი კრიზისი გველოდება 2012 და 2013 წელს შორის, საპარლამენტო არჩევნებში ჩვენი თეორიული გამარჯვების შემთხვევაშიც კი“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

„ქართული ოცნების“ ლიდერის ინფორმაციით, ფრენკ ვიზნერი კარგად არის ინფორმირებული მისი პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ ხელისუფლების მხრიდან მის მიმართ განხორციელებული უკანონობის შესახებაც.

„გვქონდა საინტერესო საუბარი და მივიღეთ საინტერესო რჩევები, როგორ გავაგრძელოთ ბრძოლა ამავე სტილით, რომ მივიღოთ რეალურად დემოკრატიული არჩევნები შემოდგომაზე“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

აშშ-ის ყოფილი ელჩი გაეროში ფრენკ ვიზნერი საქართველოში ბიძინა ივანიშვილის მოწვევით ჩამოვიდა.

## „სააკაშვილი კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგებას აგრძელებს“

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს მისი მოქალაქეობის საკითხის კომენტირებისას განუცხადა.

მისივე თქმით, მოქალაქეობის უკანონოდ ჩამორთმევის მიუხედავად, პრეზიდენტს მეორედ მისცა შანსი, “„შეენარჩუნებინა სახე და აღედგინა კანონიერება“.

„მან ეს ვერ მოახერხა და იპოვა იოლი გზა — კონსტიტუციის გადაკეთება. სააკაშვილი ქვეყნის ძირითად კანონს უხეშად ექცევა და ცდილობს, საკუთარ თავზე მოირგოს. ამ შემთხვევაში იმდენად უხეში და გაუგებარია ის ცვლილებები, რომელთა შეტანას ისინი კონსტიტუციაში აპირებენ, თვითონვე მიხვდებიან და შეჩერდებიან“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

კითხვას, როგორ მოიქცევა იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო ცვლილება დამტკიცდება, ბიძინა ივანიშვილმა უპასუხა, რომ კანონს დაემორჩილება.

„მათ ბევრი კანონი შეცვალეს პოლიტიკაში ჩემი მოსვლის შემდეგ, მაგრამ მე, როგორც საქართველოს მოქალაქე, პატივს ვცემ ჩემს ქვეყანას, ვრჩები კანონიერების სივრცეში და ასე ვაპირებ მომავალშიც. ალოგიკური კანონებიც შემოიღეს, მაგრამ მეც და ჩემი გუნდიც ბოლომდე ვემორჩილებით ამ კანონებს და ასე გავაგრძელებთ მომავალშიც“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

პარლამენტი ქდმ-ს მიერ ინიცირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს განიხილავს, რომლის თანახმადაც, ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეს არჩევნებში მონაწილეობისა და პოლიტიკურ თანამდებობებზე არჩევის უფლება ეძლევა.

ინტერპრესნიუსი

აულაგმავი ფასები

**ეტყობა, ხელისუფლება ერთობ შეწუხდა საწვავის ფასებთან მუდმივად მჭიდრო კონტაქტში ყოფნის ბრალდებით და გადაწყვიტა საპარლამენტო ტრიბუნიდან ეპასუხა ოპონენტებისათვის. ოღონდ ესაა, რომ ბრალდების გამნეიტრალებელი ფიგურა სწორად ვერ შეარჩია და მიკროფონთან აკაკი ბობოხიძე მიუშვა. ბობოხიძემ რამდენიმე თვის წინათ თავი ჰიბრიდულ სიმინდთან დაკავშირებით „გამოიჩინა“, ახლა კი ნავთობბიზნესში „ცდის ბედს“.**



## მენავთოზე გველეშაპები და ჰიბრიდული ბობოხიძე



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის აკაკი ბობოხიძის მტკიცებით, ხელისუფლებას საწვავის ფასების რეგულირების არანაირი ბერკეტი არ გააჩნია. ასეთი კომენტარი ბობოხიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, ოპოზიციის კრიტიკის საპასუხოდ გააკეთა, რომელთაც საწვავზე ფასის მხოლოდ 5 თეთრით გაძვირების ფონზე, მოხვნის საფასურის 1 ლარით გაძვირება გააპროტესტეს.

დეპუტატის თქმით, საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობას და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მოსახლეობას ხელი შეუწყოს. ხელისუფლებას ქვეყანაში შესაბამისი ტექნიკა შემოჰყავს, თუმცა არა აქვს ბერკეტი საწვავის ფასების დარეგულირებისთვის, რადგან საბადოები არ გააჩნია.

„არსად საქართველოს არც ერთ ტერიტორიაზე ნავთობსაბადოები აღმოჩენილი არ არის. ყოველ შემთხვევაში იმ რაოდენობით, რომ საქართველოს მოსახლეობას ეყოს“, — განაცხადა უმრავლესობის ერთ-ერთმა სახემ.

მიკროფონთან მისულ ბობოხიძეს გულმა მაინც არ მოუთმინა, რომ თავის საყვარელ თემაზე არ ჩაეგდო ორი სიტყვა. იხელთა რა დრო და მიკროფონი, დეპუტატმა ჰიბრიდულ სიმინდზე კიდევ ერთხელ ისაუბრა და განაცხადა, რომ ლაგოდეხში ოპოზიციის მიერ „ნაგინები თესლი“, უკვე 4 ათას ჰექტარზე დაითესა. რამ შეაყვარა ამ იმერელ კაცს ჰიბრიდული სიმინდისგან გამომცხვარი მჭადი, ჯერჯერობით ვერავინ დაადგინა.

ასეთმა კომენტარმა ვერაფრით დააკმაყოფილა საპარლამენტო უმცირესობა და ქდმ-ს ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ვეფხვაძემ ხელისუფლებას (ბობოხიძესძ ურჩია, საწვავის ბიზნესი „გველეშაპებისგან გაათავისუფლოს“ და კონკურენცია დაუშვას. ასეთ შემთხვევაში ვეფხვაძე საწვავის 15-20 თეთრით გაიაფებას პროგნოზირებს.

„ეს თქვენს პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. არიან ადამიანები, რომლებიც გველეშაპებივით ასხედან ამ ბიზნესს. ეს ადამიანები არ იძლევიან საშუალებას, საწვავის ბიზნესი თავისუფალ კონკურენციულ გარემოში აღმოჩნდეს“, — განაცხადა ვეფხვაძემ.

ნაციონალური ხელისუფლება საკუთარ გველეშაპებს ვეფხვაძის მოწოდებაზე ლაგამს ნამდვილად არ ამოდებს, პირიქით, რაც დრო გადის, მათი მადა უფრო დაუოკებელი ხდება. ამას ბოლოდროინდელი ფაქტებიც ადასტურებს. მაგალითად, ბოლო დღეების განმავლობაში მსოფლიოში ნავთობის ფასები მცირდება. ქართულ ბაზარზე კი საწვავის გაიაფების პროგნოზები ჯერჯერობით არ კეთდება.

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში 1 ბარელი ნავთობის ფასი 126 დოლარიდან 120 დოლარამდე ჩამოვიდა. უცხოელი ანალიტიკოსები ტენდენციის შენარჩუნებას პროგნოზირებენ.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განაცხადა, საქართველოში ფასები მას შემდეგ შემცირდება, რაც მსოფლიოში ნავთობის ფასის კლების ტენდენცია 10-14 დღის განმავლობაში მაინც შენარჩუნდება.

აღსანიშნავია, რომ ნავთობის მაღალი ფასების ფონზე ავტომფლობელების ნაწილმა საკუთარი ავტომობილით გადაადგილება შეამცირა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა დაიწყო.

მთვრალაშვილის თქმით, ასეთ შემთხვევაში ორგანიზაციის რეკომენდაციაა, ავტომფლობელები ბენზინიდან ავტოგაზზე გადავიდნენ. მისი ინფორმაციით, ავტოგაზის ღირებულება 1 კბ.მ-ზე 1,10 ლარს შეადგენს, რაც მომხმარებლის ხარჯებს მნიშვნელოვნად ზოგავს.

**გიორგი ბექაური**
**Presage.tv**

თეატრალურ საზოგადოებაში

# გულგრილობა, რომელიც „ხელისუფლების წისქვილზე“ ასხამს წყალს

**გულშემოყრილია გოგი ქავთარაძე, გაცეცხლებულია სანდრო მრევლიშვილი — რას ჰგავს ესო, ასეთი ინდიფერენტიზმი, ასეთი გულგრილობა განა შეიძლება, როდესაც ქართული თეატრის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგასო?!**

მართლაც, ოცდაათამდე კაცი თუ იქნება თავმოყრილი დარბაზში, სადაც საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის ღია პლენუმი უნდა გაიმართოს, ანუ უნდა ისაუბრონ ქართულ თეატრში შექმნილ დღევანდელ



პრობლემებზე, რომელიც ერთგვარად დააჩქარა მოზარდ მაყურებელთა თეატრში გამეფებულმა, მართლაც ანეკდოტურმა სიტუაციამ — თეატრის მმართველმა მიშა ანთაძემ ერთბაშად 40 კაცი გაუშვა თეატრიდან!...

მაგრამ, დარბაზი თითქმის ცარიელია...

— ახია ჩვენზე, თეატრები თავზე გვენგრევა, ჩვენ კი ყველაფერს ვეგუებით, ეს კი, ცხადია, ხელს აძლევს ხელისუფლებასო, — ძლივს დაწყნარდა სანდრო მრევლიშვილი... დიმა ჯაიანი თელაველთა გასაჭირიდან იწყებს, რა თქმა უნდა, საუბრობს მოზარდ მაყურებელთა, რუსთავის თეატრების პრობლემებზე... თითო-ოროლა კაცის გარდა, რატომ არ მოვიდა დღეს აქ არავინ, რომ ხელისუფლებას ეგრძნო ჩვენი ერთიანობა... სააკაშვილმა სამსაათიანი მოხსენება გააკეთა პარლამენტში და კულტურაზე კრინტიც არ დაუძრავსო, მეტი გვინდაო!.. თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე ბატონი გოგი ქავთარაძე კითხულობს მოზარდიდან და თელავის თეატრიდან გამოგზავნილ წერილებს, გვიშველეთ რამეო, მიშა ანთაძემ და დუტა სხირტლაძემ დაგვღუპესო...

გოგი ქავთარაძე ამბობს, სხვათა შორის, როგორც გავიგე, ანთაძეს და სხირტლაძეს ათავისუფლებენო, კულტურის სამინისტროს, მგონი, უკვე გადაუწყვეტია საკითხიო.

გულისტკივილს გამოთქვამენ ღვაწლმოსილი მსახიობები ნათელა მაჭავარიანი, გიორგი ოსეფაშვილი, ეკატერინე ქვრივიშვილი და სხვები... პათოსი ერთია — როგორმე უნდა ვუშველოთ ქართულ თეატრს!..

მაგრამ, რა ვუყოთ საერთო გულგრილობას, რომელიც ასე მეფობს ჩვენს საზოგადოებაში?!

**ვილენ მარდალეიშვილი**

პროტესტი

# ეკოციდისგან გადავარჩინოთ საქართველო!

## გიორგი გაჩეჩილაძე – პარლამენტის წინააღმდეგ

**საქართველოს პარლამენტი დღითი დღე სულ უფრო უცნაური კანონპროექტების განხილვა-მიღებით აკვირვებს საზოგადოებას, განსაკუთრებით საგანგაშოა ბუნებისა და ეკოლოგიის წინააღმდეგ მიმართული კანონები. სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმგვარ კანონპროექტებს, როგორიცაა, წითელ წიგნში შეტანილი ცხოველების განადგურება; ატომური სადგურებისა და გიგანტური ჰესების მშენებლობა საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე კანონი, რომლის ძალით იურიდიულ პირს შეუძლია ყოველგვარი უმსგავსობის ჩადენა, მაგალითად, გაანადგუროს ხე-ტყე, წყალი და არ დაისაჯოს, ბოლოს კი ვერა ქობალიას ინიციატივა — კორექტირება შეიტანოს მიწისძვრის ბალების განსაზღვრაში.**

„მწვანეთა პარტია“ აღშფოთებას გამოთქვამს ამგვარი კანონების მიღების გამო, სარჩელი შეაქვს უზენაეს სასამართლოში საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და იწყებს საერთაშორისო აქციას ლოზუნგით „გადავარჩინოთ საქართველო ეკოციდისაგან!“




აქციის მიზეზი გახდა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ხელმოწერით ამოქმედებული კანონი, რომლის მიხედვითაც გაუქმდა საქართველოს ბუნების განადგურებისათვის დაწესებული ყველა სასჯელი.

გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, 2012 წლის 20 მარტი არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს ისტორიაში შევა, როგორც ქვეყანაში ეკოციდის დაკანონების უპრეცედენტო დანაშაული!

საქართველოში ბუნების განადგურების შესახებ ინფორმაცია განსჯისთვის გადაეგზავნა „გაეროს“ გარემოსდაცვით სტრუქტურებს, ევროკომისიას, ევროპარლამენტს, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს.

22 აპრილს „დედამიწის დღესთან“ დაკავშირებით მწვანეთა პარტია გეგმავს საპროტესტო აქციებს და მოუწოდებს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველობას თანადგომისთვის, რათა საქართველოს საელჩოებთან და საკონსულოებთან გამართონ აქციები მოთხოვნით: **„გადავარჩინოთ საქართველო ეკოციდისაგან“.**

**ლია გრიგოლია**

# პირველად მსოფლიოში



**საქართველოს სახელმწიფო კიდევ ერთი ნომინაციით შევიდა გინესის წიგნის საპატიო გრაფაში — „პირველად მსოფლიოში“.**

პირველად მსოფლიოში (ყოველგვარი ბრჭყალების გარეშე!) საქართველოს მიშკურთხეულმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ როგორც საქართველოს პარლამენტის წევრი, ასევე, საქართველოს ხელისუფლების ნებისმიერი უმაღლესი რანგის პირი — პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი ან პარლამენტის თავმჯდომარე — შეიძლება გახდეს უცხო ქვეყნის (ევროკავშირის და, სავარაუდოდ, ასევე — აშშ-ის) მოქალაქე, რომელიც არის დაბადებული საქართველოში, მიაღწია 21 წელს და 10 წელი მაინც იცხოვრა საქართველოში.

ეს ყველაფერი კი მოჰყვა იმას, რომ **ბიძინა ივანიშვილს ხინჯად ჩაუთვალეს ის, რომ იგი ნატურალიზაციის განაცხადის შეტანის მომენტში ჯერ კიდევ იყო სწორედ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქე და მიუხედავად იმისა, რომ მას უკვე შეტანილი ჰქონდა განაცხადი ამ მოქალაქეობის დატოვებაზე, ფორმალური და ყურით მოთრეული მიზეზით უარი უთხრეს ნატურალიზაციაზე!**

სწორედ აქ არის აბსურდი.

სუპერაბსურდი!

თან ისეთი მასშტაბის სუპერაბსურდი, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში ჯერ არავის გაუგონია და ვერავის მოუგონია!

არა, არის შემთხვევები, რომ საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები ორი ქვეყნის ეთნიკური უმცირესობები პარიტეტულ საფუძველზე ერთი ქვეყნიდან — მეორის, და პირიქით, არჩევნებში მონაწილეობენ, მაგრამ საქმე პასიურ საარჩევნო უფლებას ეხება და არა — სხვა ქვეყნის პარლამენტის წევრად, ან, მით უფრო, უმაღლესი რანგის პირად არჩევის უფლებას!

ის, რომ **ნაცმოძრაობის ბონზებს კარგად ესმით, რა ნეხვშიც ჩადგეს ფეხი ივანიშვილისთვის მოქალაქეობაზე უარის თქმით, იმითაც დასტურდება, რომ საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის კანონის მუხლი, რომელსაც დაეყრდნო რეესტრი ამ გადაწყვეტილების მიღებისას! მეტიც, არამცთუ სააკაშვილმა არ გამოსცა განკარგულება ამ გადაწყვეტილებაზე, რაც მას კანონით ეკისრება, არამედ ამ გადაწყვეტილებას ხელს არ აწერს არც რეესტრის უფროსი ვაშაძე. მხოლოდ მის მოადგილეს, ვინმე გიორგი გაბრიელაშვილს გაახმოვანებინეს ეს აბორტის მსხვერპლი გადაწყვეტილება...**

სამაგიეროდ, ახლა მოძებნეს დიადი გამოსავალი — კონსტიტუციის ახალი ჭრაკერვა!

„ამით ყველა ბარიერი იხსნებაო!“ — ტრადიციულად ღიმილით განაცხადა ქვეყნის ოფიციალურად მეორე პირმა და ევროპის 200-ეულის ინტელექტუალმა დავით ბაქრაძემ.

„გიჟი თავისუფალიაო!“ — ამბობენ ჩვენს ხელისუფლებაზე, უკვე არა მარტო იმერეთში...

ფორმალური მიზეზით — კანონს ვერ დავარღვევთო! — არ მისცეს მოქალაქეობა და მერე გადაწყვიტეს ქვეყნის მთავარი კანონის — კონსტიტუციის გადაკეთება, რაც თავისთავად მრავალი კანონის ცვლილების აუცილებლობას იწვევს! ევროკავშირის ქვეყნის მოქალაქე იყოო და ნატურალიზაციას როგორ მოვახდენდით, დაუშვებელიაო, და ევროკავშირის ყველა საქართველოში დაბადებული მოქალაქისთვის დაუშვეს ფორმალურად საქართველოს უმაღლესი თანამდებობის დაკავების უფლება! ივანიშვილი საფრანგეთის მოქალაქე გახდაო და იმიტომ ჩამოართვეს საქართველოს მოქალაქეობა, ახლა კი ევროკავშირის და ამერიკის მოქალაქეობის მქონე ათასობით ადამიანს, ისე, რომ მათ საქართველოს მოქალაქეობა არ ექნებათ — აძლევენ საქართველოს ხელისუფლებაში მოსვლის ლეგალურ შანსს!

ქვეშიდან გამოძრომა ჰქვია ამას!

საფრანგეთის მოქალაქე რომ არ ყოფილიყო ივანიშვილი და რუსეთის მოქალაქეობა რომ დაეტოვებინა, მაშინ რას იზამდით, მაშინ რუსეთის მოქალაქეებსაც მისცემდით სრულმასშტაბიან საარჩევნო უფლებასო? — ჰკითხა პალიკო კუბლაშვილს ეკა ბერიძემ „პირდაპირ საუბარში“ და მანამ არ მოეშვა, სანამ პალიკომ არ აღიარა, არ ვიციო.. აქვე სხვა ძალიან სერიოზული კითხვები დასვა ჟურნალისტმა — რა დააშავეს თურქეთში მცხოვრებმა საქართველოში დაბადებულებმა, ან — სომხეთში ან — აზერბაიჯანშიო? თუ ის შენიშნა იუსტიციის სამინისტრომ, რომ ივანიშვილის მიერ საფრანგეთის საკონსულოდან მოტანილ წერილს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ აპოსტილირება აკლდა და ეს ხარვეზი 3 დღეში გაასწორებინა, ის რატომ ვერ შენიშნა მაშინვე, რომ მომმართველი პირი თურმე „არასწორი გზით“ მიდიოდაო? 3 თვე რატომ ალოდინეს იმის მოსასმენად, „არასწორი გზით“ მოგვმართეო?

ამავე გადაცემის მეორე ნაწილში ბატონ ვასილ მაღლაფერიძემ თქვა, ამ აბსურდით ხელისუფლებამ ერთ დღეს გაბედა და უარი უთხრა ივანიშვილს, თქვენი გულისთვის კანონს ვერ დავარღვევო, ხოლო 24 საათში არამცთუ „კანონი დაარღვია“, მთელი კონსტიტუციის გადასინჯვა და გადასწორება დაიწყო, თან აბსოლუტურად უპრეცედენტო ფორმითო. ბატონი ვასიკო ფიქრობს, რომ ამით ხელისუფლებამ აშკარა გახადა საკუთარი გაფარჩაკება და რომ ეს რაუნდი ივანიშვილის წინაშე მათი საბოლოო კაპიტულაციის ტოლფასია, როცა უარი თქვეს ნოკდაუნის აღიარებაზე, მაგრამ, თავისდა უნებლიედ, აღიარეს სრული ნოკაუტი, მაგრამ მე ამ აზრს სრულად და ბოლომდე ვერ დავეთანხმები.

უფრო სწორად, ლოგიკის ჭრილში და ფსიქოლოგიური ფენომენის გათვალისწინებით — „მიშამ გაბედა, მაგრამ მაინც შეეშინდა და ბოლოს მაინც ვერ გაბედა“ — სიამოვნებით დავეთანხმებოდი, მაგრამ ვფიქრობ, რომ უნდა გავითვალისწინოთ ნაციონალური მოძრაობის და კერძოდ, მიხეილ სააკაშვილის, საკმაოდ სერიოზულად გამოხატული უნარი, რომ თავისთვის ძალიან წამგებიან ნაბიჯებშიც კი, კრიტიკულ და კატასტროფულ სიტუაციებში აღმოჩენისას, მონახოს თავისთვის მომგებიანი პოზიციები და თითქოს დათმობების უკან შენიღბოს ის უკეთურობანი, რომელთაც თავის სასიკეთოდ გამოიყენებს. ამ შენიღბვის ერთ-ერთ ნათელ მაგალითად მახსოვს რეგიონული მედიისათვის დავალიანებების ჩამოწერის კამპანია, რომელიც ვითომ, ყოყმანის შემდეგ, ხელისუფლებამ გულმოწყალედ მიიღო და, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილი 30 მილიონის უდიდესი ნაწილი შემდეგ პროსახელისუფლებო „რუსთავი2“-ის, „იმედის“ და საზოგადოებრივი არხის დავალიანებების (და პრემიების) დაფინანსებას მოხმარდა!

ამიტომ შევეცდები, გავთვალო ის პოტენციური საფრთხეები, რითაც ხელისუფლება ამ, ერთმნიშვნელოვნად სუპერაბსურდის, უკვე „გაგენიალურობას“ შეეცდება. და ამით იქნებ მივხვდეთ, ხომ არ არის ივანიშვილისთვის შეთავაზებული გზა, როგორც ია ანთაძემ მოსწრებულად აღნიშნა, „მაჰზე უკეთესი“!

**1) ყველაზე მარტივი საფრთხე — პოლიტიკაში სრულფასოვანი ჩაბმის და საარჩევნო პროცესის დაგვიანება! ხელისუფლება ლამისაა ტყავში გაძვრეს, ისე ცდილობს, რომ ნებისმიერი თვე და კვირა, კი არა, რამდენიმე დღით მაინც გადადოს ის მომენტი, როცა ივანიშვილს სრულფასოვანი პოლიტიკური უფლებები მიეცემა.** ამიტომ, 100%-ით დარწმუნებული ვარ, რომ რამდენადაც ადვილად „დათანხმდა“ ნაციონალური უმრავლესობა ქრისტიან-დემოკრატების ამ „ინიციატივას“ (ორივე ამ ძალას როგორ ამოდის მზე ივანიშვილის „ქართულ ოცნებაზე“, ხომ ცნობილია, და ის ფაქტი, რომ თარგამაძეს წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ პალიკო და მისი რაზმი უკვე თანახმა იყო, ძალიან მრავლისმეტყველია!), იმდენად გაჯანჯლებული იქნება თავად პროცესი. იქნება ძალიან ჩაკირკიტებული პოზიციები, მოსმენების გადადებები, პარლამენტი ქუთაისში გადავა, და ვინ იცის, იქნებ შვებულებაშიც გავიდნენ დასიცხული დეპუტატები... მე პირადად, ასე მგონია, რომ ეს ძალიან რეალური საფრთხეა — ყველა უცხოურ ორგანიზაციას და მეგობარ სახელმწიფოებს სააკაშვილი განუცხადებს — მეტი რა გინდათ, თქვე დალოცვილებო, თქვენი ეჭვების მოსახსნელად ასეთ გაუგონარ ნაბიჯზე — კონსტიტუციის ცვლილებაზეც კი წავედით და ხომ იცით, არაა ეს ადვილი საქმეო! და იქეთ დაამუნათებენ, თქვენ რომ დაგეწყოთ კონსტიტუციის ცვლილება (გეგონება, ვინმემ დააძალა!), ხომ არ იჩქარებდით და ძალიან რუდუნებით მიუდგებოდით ამ საპასუხისმგებლო საქმესო! **არ გამოვრიცხავ, რომ რომელიმე განსწავლულმა პარლამენტარმა (კობა ხაბაზის „იმედი მაქვს“ ძალიან და კიდევ მეტად გია თორთლაძის, რადგან ასეთი „ოპოზიციის“ ხელის გასვრა უხდება ძალიან ასეთი გასვრილი იდეების გახმოვანებას) რეფერენდუმის იდეაც კი წამოაყენოს, რაც სრულიად ლოგიკურია. აბა, ნიდერლანდებში ან საფრანგეთში ვინმე აბსურდისტებს, სხვა ქვეყნის მოქალაქეებისათვის ქვეყნის უმაღლეს პირებად არჩევის უფლების მინიჭება რომ გაეხმოვანებინათ, ეს ამბავი ჩაივლიდა რეფერენდუმის გარეშე?** არა, ბატონო, თქვენ პალიკოები ხომ არ ბრძანდებით! ჰოდა, აბა რა გაგიკვირდათ, დამაშვრალმა პალიკომაც რომ ალაპყროს თვალები ზეცისკენ — რა ვქნათ, ბატონებო, ოპოზიციონერი დეპუტატი, დემოკრატიული პარტიის ლიდერი პაღოშა თორთლაძე აყენებს საკითხს და როგორ არ დავნიშნოთ რეფერენდუმიო? ასე რომ — ხაფანგი №1 — დრო! ამერიკის ელჩმა აღნიშნა, უნდა იქნეს მიღწეული თანასწორი პირობები არჩევნებში მონაწილეთათვის, და ეს უნდა მოხდეს უსწრაფესად! ჩემი აზრით, ნაცმოძრაობის გათვლა არის სწორედ ის, რომ პროცესი ივნის-ივლისამდე გაჭიმოს და სწორედ ამიტომ განაცხადეს დღეს უცხოეთიდან დამკვირვებლების მოწვევის ინიცირებაზე... სიფხიზლის მოდუნებაზე თამაშობენ ჩვენი შულერები.

**2) მეორე და უფრო სერიოზული საფრთხე — მორალური ხაფანგი + სხვა სატელიტების გამოყვანა ავანსცენაზე.** მართალია, ნაცმოძრაობამ ასე ადვილად „დათმო“ ივანიშვილის პოლიტიკაში ჩაბმის უფლების მიცემა, მაგრამ არ დათმო მოქალაქეობა და არა მგონია, ეს მარტო სააკაშვილის კაპრიზს (წართმეულის უკან დაბრუნება, ისიც ივანიშვილის ქადილის ფონზე — სისუსტეში არ ჩამეთვალოსო!) უკავშირდება. **როგორც კი საკონსტიტუციო ცვლილებების ეტაპი გავლილი იქნება, ნაცმოძრაობის ხელშემწყობი პიარ-კამპანიის მთელი აქცენტი გადანაცვლდება იმაზე, როგორი სახიფათოა სხვა ქვეყნის მოქალაქეების უმაღლეს თანამდებობზე მოსვლის პერსპექტივა! რომ ასეთი ადამიანი სხვა ქვეყნის პრეზიდენტის და კანონების მორჩილია მხოლოდ და შეიძლება გადამწყვეტ მომენტში სწორედ სხვა ქვეყნის ინტერესები დააყენოს ყველაზე მაღლა!** მართალია, ნაცმოძრაობაც და პირველ რიგში, ქრისტიან-დემოკრატები, როგორც ამ ინიციატივის მამები და მამინაცვლები (რომელი — ვინ, თავად გადაწყვიტეთ), ამ კამპანიის წინა ფლანგზე ვერ იქნებიან, მაგრამ აგერ არ არიან რეზერვში გადანახული მემარჯვენეები, რომელთა მხრიდან ივანიშვილზე დარტყმა არავის გაუკვირდება? აგერ არ არის პან გიმალაისკი თორთლაძე, რომელიც პატრიოტული აქტის ზეავტორია და რომლის პატრიოტული სიფრთხილე არავის გააკვირვებს? ბოლომდე მოხსნის გუდას თავს ბატონი შალვა ნათელაშვილი და კიდევ ერთხელ გააჭენებს ანტიამერიკულ და ახლა უკვე ანტიევროკავშირულ ულაყებს ბიძინა ივანიშვილისთვის დასავლეთიდან მართულობის დაბრალებით... და ბოლოს, აგერ არ არიან უძველესი პარტიის ლიდერები ბაჩუკი ქარდავა და გურამ ჩახვაძე? და თქვენ რა გგონიათ, უცხოეთში გადანახულ მანანა არჩვაძეს, ღვინოში ჩამბალ ლოთ ქობალიას და ზოგიერთ სხვა „ეროვნულს“ ვერ დააძრობს საიდუმლო რეზერვიდან მიხეილ სააკაშვილი? აქვე შეიძლება ვიხილოთ ზოგიერთი სასწრაფოდ შეწყალებული პირიც და მათ მიერ საარჩევნოდ გამომცხვარი ახალი სატელიტებიც... ისევე, როგორც ზოგიერთი ე.წ. „ოპოზიციური“ გაზეთები... სწორედ ისინი დაიწყებენ გნიასს და შექმნიან „უცხო ქვეყნებიდან მართული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ ფრონტს“. კალისტრატესნაირი მამაოების იმედიც უნდა ჰქონდეს მათგან თაფლნაჭამ ხელისუფალს... თანაც თუ აქამდე რესპუბლიკელები, ფორუმი, თავისუფალი დემოკრატები და სხვები ხშირად ახსენებდნენ ხელისუფლებას მის მიერ თავის სასარგებლოდ კონსტიტუციის ხშირ ჭრა-კერვას, ახლა უკვე ხელისუფლება დაუბრუნებს საყვედურით ხურდას — თქვენს გამო დაგვჭირდა ასეთ მძიმე ნაბიჯზე წასვლაო!..

**3) საფრთხე მესამე — „მინი/ფსევდო-ივანიშვილების კულტივაცია“. მაქვს ინფორმაცია, რომ დიასპორასთან მუშაობის სამინისტრომ (პირადად პაპუნა დავითაიამ) უკვე მიიღო დირექტივები საზღვარგარეთ მცხოვრები მეტ-ნაკლებ შეძლებული ქართველების ნაცმოძრაობაში რეკრუტირებისათვის.** სააკაშვილს საქართველოში უკვე არ დარჩა მეტ-ნაკლებად პოპულარული ადამიანი, რომელსაც იგი პარლამენტში წარადგენს და ეს ადამიანი არჩევნებს (მაჟორიტარულ ოლქში) მოიგებს... მაგისთვის გადაინახეს ანდრია ურუშაძეო, ითქვა... გაწიე, ერთი!.. ანდრია ურუშაძის მოგებული არჩევნების იმედზე იყოს ჩემი მტერი! თუ წინა არჩევნებზე სააკაშვილის მიერ დარაზმულმა ბიზნესმენებმა მართლაც მოახერხეს რეგიონებში და თბილისის ზოგ რაიონშიც მეტ-ნაკლებად ნორმალური საარჩევნო კამპანიის წარმართვა, დღეს არც ფრიდონ თოდუა, არც თემურ კოხოძე, და ვერც, მით უფრო, სხვა კიდევ უფრო ოდიოზური ფიგურები — რუსუდან კერვალიშვილი, მაგალითად, მოახერხებენ არჩევნების მოგებას. ამ „ღვთისმოსავ“ ქალბატონს, საერთოდ, შეიძლება სულ ღერა-ღერა დააწიწკნონ თმა „ისი-პარის“ სალონში.

**სოლომონ თერნალი**

Presage.tv

№69. ხუთშაბათი. 12 აპრილი. 2012 წელი.

ხედვა უცხოეთიდან



# ეროვნული მოძრაობა და ინტელიგენცია

**ეროვნული მოძრაობა და ინტელიგენცია ურთიერთგანპირობებული ცნებებია. არ არსებობს ეროვნული მოძრაობა ინტელიგენციის გარეშე, როგორც ინტელიგენცია – ეროვნული მოძრაობის გარეშე. ეროვნული მოძრაობა, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული სულისკვეთების შექმნას გულისხმობს და ინტელიგენცია არის ეროვნული სულისკვეთების შემოქმედი. თუ მწერალი, როგორც სტალინი ამბობს, „ადამიანის სულის ინჟინერია", ინტელიგენცია არის ერის სულის ინჟინერი. ეროვნული მოძრაობა საქართველოში არც თერგდალეულებს დაუწყიათ და არც, მით უმეტეს, ე.წ. „ეროვნული მოძრაობის" ლიდერებს.** მისი პიონერები ქართული ზღაპრების, ლეგენდების, ეპოსების, ანდაზებისა და ხატოვან სიტყვა-თქმათა ის შემოქმედნი იყვნენ, რომლებიც ათასწლეულების მანძილზე ქართულ სულისკვეთებას ქმნიდნენ და ადამიანებს ქართველებად აყალიბებდნენ. ქრისტიანულ ეპოქაში ქართული სულისკვეთების შექმნას აგრძელებდნენ იაკობ ცურტაველი, იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე, სარგის თმოგველი, შოთა რუსთაველი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი და სხვანი მრავალნი. მათი შემოქმედება გააგრძელეს ლავრენტი არდაზიანმა, დანიელ ჭონქაძემ, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ეგნატე ნინოშვილმა, გიორგი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ, ალექსანდრე ყაზბეგმა და სხვებმა და სხვებმა. საბჭოთა პერიოდში წინაპართა ესტაფეტა გადაიბარეს სოსო გრიშაშვილმა, გალაკტიონ ტაბიძემ, გრიგოლ რობაქიძემ, მიხეილ ჯავახიშვილმა, პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ, ლადო ასათიანმა, გიორგი ლეონიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, გრიგოლ აბაშიძემ, იოსებ ნონეშვილმა, აკაკი ბაქრაძემ, მურმან ლებანიძემ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, რეზო ამაშუკელმა და ერის სულის სხვა ინჟინრებმა (ზოგი თქვენ მიათვალა, გვითხოვლო, ყველას ჩამოთვლას მარტო მე სად აუვალ, ხოლო თუ ვინმეს ინჟინრობა ეთაკილება, საუფროთა მწარმოებლად მიგვიძღვნის). საბჭოთა წნეხს ყველამ ერთნაირად ვერ გაუძლო: ზოგი გერმანიაში გაიქცა და იქაური „ეროვნული მოძრაობით" იოხებდა გულს, ზოგმა ეთნიკური მოძრაობა წამოიწყო და ამ საქმეს შეეწირა, ზოგმა კოლეგის დაბეზღებით გადაირჩინა სიცოცხლე და სული გაწირა, სხვებმა, უფრო საზრიანებმა, ხერხი იხმარეს – სტრიქონებს შორის აპარებდნენ სათქმელს და ისე ასულდგმულებდნენ ერს... საბჭოთა ინტერნაციონალიზმი, ცარისტული შოვინიზმის ეს ანტიპოდი, ნაციონალიზმად აცხადებდა ეროვნული სულისკვეთების ყოველ გამოვლინებას და ყოფნა-არყოფნის წინაშე აყენებდა ერების თვითმყოფადობას. ტოტალიტარიზმის სისასტიკე ძირითადად ცენზურის ყველგან შეღწევაში მდგომარეობდა და მისი საცეცები, ძირითადად ინტელიგენციის წინააღმდეგ იყო მიმართული. ლენინის უწმაწური გამოთქმა რომ არ გავიმეოროთ, ინტელიგენციას არც სტალინმა მისცა შეღავათი, თუმცა ილია ჭავჭავაძე, შოთა რუსთაველი და გიორგი სააკაძეც ჟორდანია-მახარაძეებს (ჟორდანია სადღა იყო, ფილიპე მახარაძე კი, გაბოლშევიკებული, განაგრძობდა ილიასა და შოთას დასამარებასძ მკვდრეთით აღადგინა. რაც შეეხება ქართველი ინტელიგენციისადმი მის დამოკიდებულებას, „ბელადი" (ეს კონსტანტინე გამსახურდიას ერთ-ერთი ნაწარმოების სათაურიაძ ეროვნული ფრთების გაშლის საშუალებას არ აძლევდა მას. ინტელიგენციისათვის ამ ლაგამის ამოდებას ქართველი ხალხის ეს ძალით მაცხონე, „საქართველოს გადარჩენის" საჭიროებით ამართლებდა: „საქართველოს თუ დალუპავენ, აგრესიული ნაციონალისტები დაღუპავენ"-ო. მაგრამ შეაყარე ინტელიგენციას ცერცვი: ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაკარგვით შეჭმუნვილ სოსო გრიშაშვილს ძალზე უმძიმდა „გამოთხოვება ძველ თბილისთან": „და მე არ ვიცი, ვიღას ვემონო, ასეთ ყოფაში თითქოს მოვბერდი, ვრჩები ოტელო უდეზდემონოდ, მე სხვა ცხოვრების წინამორბედი"...

უთუოდ იგივე სევდა უღრღნიდა გულს დიდ გალაკტიონსაც, მწუხარების იდუმალ მიზეზს საკუთარი სულის მეტს რომ ვერავის უმხელდა: „აი, მიზეზი, სულო ჩემო, აი, მიზეზი, აი, მიზეზთა მიზეზი და კიდევ მიზეზი"... მრავალგზის ნაცემბირალი და გულგაქვავებული ცენზორთუხუცესი კი, ქვეყნის კოლექტივიზაციასა და ინდუსტრიალიზაციას რომ შესჭიდებოდა, ინტელიგენციის სენტიმენტებს მოკლედ ჭრიდა: „მსოფლიო სევდა ჩვენი ფილოსოფია არ არის!" საინტერესოა, რას იტყოდნენ ერის სულის ეს მესაიდუმლენი, დღევანდელი „საქართველო" რომ ენახათ?! ისინი რას იტყოდნენ, ვერ გეტყვით, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის წინადღეს პოლიტიკურ არენაზე გამოსულმა უცნაური მოძრაობის „ლიდერებმა" ქართველ ინტელიგენციას იმდენი ლაფი ასხეს, რომ ლენინი და სტალინი მოანატრეს: „კრემლის აგენტებად" მონათლეს, „წითელი ინტელიგენცია" და „ფსევდოინტელიგენცია" უწოდეს, ტრიბუნასთან არ უშვებდნენ, მიკროფონს ხელიდან სტაცებდნენ და ა.შ.

ვინ იყვნენ ამ ე.წ. „ეროვნული მოძრაობის" ეს არამკითხე მოამბენი და რას ერჩოდნენ ქართველ ინტელიგენციას? ვინ იყვნენ, მაშინ კი არა, დღესაც ვერ გაგვიგია?! ჯუმბერ პატიაშვილმა, მგონი, რაღაც იცის, მაგრამ იმ ავადსახსენებელი ამბებიდან 23 წლის შემდეგაც ვერ ასახელებს და ამბობს, მოგონებებს დავწერ და იქ ვიტყვიო (ისე წინასწარ ამასაც არ უნდა ამბობდეს, „ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული", ხომ შეიძლება, ის მოგონებები არც დააწერინონ?!ძ, მანამდე კი იგი გივი გუმბარიძესთან გვამისამართებს, სისხლიანი 9 აპრილის შეფასებისას რატომღაც არავის ახსენდება მაშინდელი კაგებეს შეფის სახელიო. დალოცვილო, გუმბარიძეს რომ ეცოდინება, ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ მან რომ იცის, ჩვენ რა?! საკუთარ ცოდვებს ხომ არ გაგვიმხელს?! ბატონმა ჯუმბერმა უნდა თქვას, რომ სხვის მიერ მასზე მიწერილი ცოდვა მოიწმინდოს. თუმცა სამოწყალოდ რაღაცას მაინც ამბობს და, „ასავალ-დასავალის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პატიოსნად აქვეყნებს რედაქციის კონცეფციიდან გამომდინარე „საჩოთირო" ნათქვამს: „მათ ყველგან ჰყავდათ თავიანთი ოფიციალური წარმომადგენლები და არაოფიციალური აგენტები: ცეკაშიც, ნებისმიერ დაწესებულებაშიც და უმაღლეს სასწავლებლებშიც. რაც შეეხება დისიდენტებსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, იქ, რასაკვირველია, ცეკასგან განსხვავებით, ოფიციალურად არა, მაგრამ აგენტურის სახით ძალიან დიდი წარმომადგენლობა ჰყავდათ, იმაზე დიდი, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ...

იხ. 6 გვ.

სხვა გზა არ არსებობს

# „სდექით მტკიცედ და შეურყევლად!"

სააკაშვილი ისეა გონებადაბინდული, რომ, ოღონდ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა არ დაუბრუნოს, – კონსტიტუციაში შეაქვს აბსურდული ცვლილებები, რომლის თანახმადაც, საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის თუ პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირმა, – რომელსაც, ამავდროულად არ ექნება არჩევნებში ხმის მიცემის უფლება?! სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა" ყველაფერზე მიდიან იმისთვის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნონ! ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა, ხელისუფლების ცხოველურ შიშზე მეტყველებს, მაგრამ, ქართველი ხალხი არ თმობს მის უკანასკნელ იმედს – ბიძინა ივანიშვილს და ბოლომდე აპირებს (ყველა ობიექტური სოციოლოგიური გამოკითხვით!ძ, გამარჯვებამდე გაჰყვეს მას, – საქართველოს მოქალაქის თუ „არამოქალაქის" სტატუსით მებრძოლს! ამავდროულად, არსებობს რეალური საშიშროება, რომ დამფრთხალი სააკაშვილი და მისი უფრო შეშინებული გარემოცვა ყველანაირ პროვოკაციაზე წავიდეს! ამ დღეებში, უშიშროების საბჭოს მდივანმა გიგა ბოკერიამ, რომელიც სააკაშვილის „ყველაზე დიდ ტვინიკოსად" ითვლება, განაცხადა, რომ არ გამორიცხავს რუსეთთან სამხედრო კონფლიქტს?! დიახ, შესაძლოა სააკაშვილისთვის და „ნაციონალი" ლიდერებისთვის რუსეთთან „ახალი ომი" (თუნდაც, 1-„სუტკიანი"!ძ ერთადერთი გამოსავალია, რომ შემოდგომაზე თავი დააღწიონ საპარლამენტო არჩევნებში სრულ ფიასკოს და ეს „ომი" გამოიყენონ მიზეზად არჩევნების გადავადებისთვის! ანდა, თუ რუსები „აღარ გაჩერდებიან იგოეთთან", – „ნაცების" ხელისუფლებამ საკუთარი პრეზიდენტი, პარლამენტი და მთავრობა – დევნილად გამოაცხადოს უცხო სახელმწიფოს აგრესიის შედეგად, რითაც შეეცდებიან გაექცნენ პასუხისმგებლობას ყველა იმ დანაშაულისათვის, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ ჩაიდინა 2004 – 2012 წლებში!.

მეცხრე წელი დაიწყო, რაც საქართველო „რევოლუციური რიტმით ცხოვრობს", ხოლო, სააკაშვილი და მისი ამფსონები ქართველ ერს „უმტკიცებენ", ხანდახან ფიზიკური ანგარიშსწორებით (2007წ. 7 ნოემბერი, 2011 წლის 26 მაისიძ, რომ მათზე კარგი ხელისუფლება ქართველებს არასდროს არ ყოლიათ და რომ, მხოლოდ მათ იციან საით უნდა წაიყვანონ ერი! უბედურებაც ის არის, რომ არ იციან და თავისი გაუაზრებელი, უგუნური პოლიტიკის წყალობით ქვეყნის ტერიტორიის 20% დაკარგეს და ამასთან ერთად, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგიის არქონის პირობებში, მათი მმართველობა თუ გაგრძელდა, მაშინ, ქართულ სახელმწიფოს გადაგვარების და გაქრობის საფრთხე ემუქრება!.. საქართველოში მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, მან თქვა: „ჩვენ არ ვაპირებთ ახალი ისტორიის დაწერას 2012 წლიდან" და რომ „ქართული ოცნების" მიზანია ისეთი სახელმწიფოს აშენება, სადაც „წარმატების საწინდარი იქნება პატიოსნება, ღირსება და პროფესიონალიზმი!" ისტორიულად, ქართველი კაცისთვის პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისკენ სწრაფვა ერთმანეთზე გადაჯაჭვული ორი გრძნობა იყო, ორივე ერთ ნიადაგში ხარობდა და ტყუპისცალებივით ურთმანეთოდ არ შეეძლოთ არსებობა, – ქართველთა უპირველესი ოცნებაც ეს არის!

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჯანსაღი პოლიტიკური ძალებისა და ქართული, პატრიოტულად განწყობილი საზოგადოებრიობის თანადგომით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ლოცვა-კურთხევით, ბიძინა ივანიშვილს ძალუძს საქართველოს გადარჩენა, გამთლიანება და მოდერნიზება!.. ჩვენ კარგად გვახსოვს (ჩვენს ოჯახებზე გადაიარაძ 1991-1992 წლებში თბილისში და მერე მთელს საქართველოში დატრიალებული უბედურება, როცა ძმა ძმას არ ინდობდა!.. ეს აღარასოდეს არ უნდა განმეორდეს!

ჩვენი, ქართველების ეს სულიერი მდგომარეობა ძალიან კარგად იცის სააკაშვილმა და მისმა „უსულგულო" ვიწრო გარემოცვამ და ამაზე აქვთ გათვლა, ანუ, ისინი დარწმუნებულები არიან, რომ როგორი შეურაცხყოფაც არ უნდა მიაყენონ ქართველ ხალხს, ქართველები ამას მოთმინებით აიტანენ, ახსოვთ რა, უახლოესი წარსულის სისხლიანი დრო და წლები!.. დიახ, „ნაცები" ქართველი ერის ამ მწარე „მეხსიერებით" ბოროტად სარგებლობენ, ამრეზით ეპყრობიან და აბუჩად იგდებენ საკუთარ ხალხს! – „დანდობა და სიყვარული" არ გცოდნიათო, ბიძინა ივანიშვილმა უთხრა მათ, შარშან ოქტომბერში...

დიახ, მათი „პოლიტიკა" მოყვასის სიყვარულზე კი არა, მოყვასის სიძულვილზეა დაფუძნებული! იმ ქართველების წინააღმდეგ, ვისაც ვაჟკაცობა და თავისუფლება შუბლზე აწერიათ და ამას მათ გამოხედვაში ამოიკითხავ, უმალ აამუშავებენ დაშინების, დაჩმორების, არაკაცებად ქცევის სატანურ (სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ!ძ მანქანას და, როცა მიზანს აღწევენ, მანქურთებივით ხარობენ და დღესასწაულობენ! ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ, „ნაცებში" შიშმა დაისადგურა, ეს შიში ძირითადად მომდინარეობს იქიდან, რომ ბ-ნი ბიძინას წინააღმდეგ მათ აღარ აქვთ დასავლეთის და უწინარესად ამერიკის მხარდაჭერის იმედი, როგორიც ეს იყო 2008 წლის იანვარში!.. მაინც „ითავხედეს" მოქალაქეობის საკითხთან მიმართებაში, ვერ და არ ისვენებენ!..

რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? უპირველეს ყოვლისა, მათ არ უნდა დავემსგავსოთ, ბოროტება და სიძულვილი გულთან არ გავიკაროთ! ქართველი ერის სიძლიერე ქვეყნის სიყვარული, სიკეთე და ერთსულოვნებაა! სხვა გზა არ არსებობს, უფრო სწორად არსებობს, მაგრამ იგი 1991-1992 წლებში დაგვაბრუნებს (ღმერთმა დაგვიფაროსძ! სააკაშვილი ისეა შეშინებული, რომ უბრალო, მაგრამ ზომბირებულ ასეულობით (თუ მეტს არა!ძ ადამიანს დაიყენებს ფარად, „მსხვერპლთშეწირვის" რიტუალს „ჩაატარებს", გაწირავს ხალხსაც და ქვეყანასაც! ამიტომ, ბევრი უნდა ვიყოთ ქართველებო, ძალიან ბევრი! ჩვენი სიმრავლე და ერთსულოვნება გადამწყვეტი იქნება სააკაშვილის გადაგვარებული, ავტორიტარული რეჟიმის მშვიდობიანად დასრულების საქმეში!.. და კიდევ, იერუსალიმში, ჯვრის მონასტრის იატაკზე – ლითონის დისკოზე, საქართველოსთვის დღემუდამ მლოცველმა ქართველებმა ასეთი შინაარსის წარწერა დაგვიტოვეს – „დექით მტკიცედ და შეურყევლად"! ჩვენი გამარჯვებაც ჩვენს სიმტკიცეში და რწმენაშია, მიუხედავად ყველაფრისა, ქართველი ერი აიხდენს თავის ოცნებას!!!

**ჯუმბერ კირვალიძე,**
პოლიტოლოგი

ინფორმაცია

## აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტმა ქვეითთა 28 ჯავშანმანქანა ჩამოიტანა



**აშშ-ის საელჩოს ინფორმაციით, ქვეითთა ჯავშანმანქანებს თავდაცვის დეპარტამენტი ფოთიდან კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში საქართველოს რკინიგზის საშუალებით გადაიტანს.**

**აღნიშნული ჯავშანმანქანები ჯავშანსაწინააღმდეგო ნაღმებისგან ქვეითთა დასაცავადაა შექმნილი. მანქანები იმ ქართველი ჯარისკაცების მოსამზადებლად არის განკუთვნილი, რომელთაც ამერიკელი სამხედროები ავღანეთის უსაფრთხოების მხარდაჭერის ოპერაციისთვის წვრთნიან.**

ინტერპრესი

გლობუსი

**საქართველოს საშინაო საკითხებში გარეთულ საზოგადოებას ნაკლები ინტერესი აქვს სხვაგან მიმდინარე მოვლენებზე, მაგრამ გლობალიზაცია და ეკონომიკური ინტეგრაცია ძალაუნებურად გვახსენებს ჩვენს დამოკიდებულებას მსოფლიო საკითხებზე. გარეთ მიმდინარე საკითხებისადმი ყველაზე დიდი ინტრესი რუსეთით იყო გამოწვეული, ვინაიდან ამ ქვეყნისადმი მიდგომა განსაკუთრებულია ყველა სხვა ქვეყნისაგან. რუსეთი არის შორეულიც და ახლობელიც, ცუდად სახსენებელიც და კეთილად მოსაგონარიც, ოკუპანტიც და ლმობიერიც, აგრესიულიც და... რომელი ერთი ჩამოვთვალო. ამდენად საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ინტერესი ჰქონდა რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებისადმი — იმედით, რომ პუტინს არ აირჩევდნენ. ცხადია, ამ იმედში უფრო მეტი აბსტრაქტული სურვილის მარცვალი იყო, ვიდრე რეალობა, მაგრამ იმედით ცხოვრობს ადამიანი.**

**მაინც რამ დაგეშა ქართული საზოგადოება პუტინის წინააღმდეგ? უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო პროპაგანდამ — გამუდმებულმა ლანძღვამ მრავალი წლის განმავლობაში. საქართველო პუტინს აბრალებს ყველაფერს, მათ შორის 2008 წლის ომის დაწყებასაც, არადა ომის დაწყება-არდაწყების პრეროგატივა პრეზიდენტს ეკუთვნის. ომის დაწყებას პუტინი პეკინში შეხვდა. გარდა ამისა, ომი რუსეთს არ დაუწყია — ევროპარლამენტის სპეცკომისიის დასკვნით ომი საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო. და ეს რომ ასეა, მრავალჯერ გაიმეორეს დასავლელმა პოლიტოლოგებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა. თუმცა ჩვენ მათი არ გვჯერა. არ გვჯერა ის, რომ აგრესორები ვართ — თუნდაც „ჩათრეულები". „ჩათრეულობის" ვერსიას დაბეჯითებით ამტკიცებს ოპოზიცია. რაც შეეხება ხელისუფლებას — ის მიუხედავად სააკაშვილისა და სხვა პოლიტიკოსების განცხადებისა — დავიკავეთ ეს სოფელი, დავიკავეთ ისო, გვიმტკიცებს, რომ რუსეთმა არა თუ ომი დაიწყო, არამედ მანამდე უამრავი პროვოკაციული გამოხდომა განახორციელა საქართველოს წინააღმდეგ.**

პუტინის კრიტიკაში დიდი წვლილი შეაქვს აშშ-ის გარკვეულ წრეებს, რომელთაც სხვადასხვა მიზანი აქვთ დასახული და ამ მიზნების განხორციელებაში იყენებს საქართველოს ხელისუფლებას და მედიას. მიუხედავად დასავლეთში, მათ შორის საქართველოში, ატეხილი ანტიპუტინური პროპაგანდისა, პუტინმა იოლად შეძლო პირველსავე ტურში მოწინააღმდეგეების დამარცხება და პრეზიდენტად გახდომა. პუტინი ის პოლიტიკოსია, ვისთანაც საქართველოს მომავალი 6 წლის განმავლობაში ექნება საქმე. მაგრამ საქართველოს ხელისუფლება არად მიიჩნევს ამ ფაქტს და ძველებურად აგრძელებს ამ პიროვნების ლანძღვას. ასეთ ფონზე რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორება შეუძლებელია. და მაინც რა შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო პუტინი საქართველოსთვის მისაღები? ალბათ, იმ შემთხვევაში თუ ის თვალს დახუჭავდა პროვოკაციულ ქმედებაზე, რასაც ადგილი ჰქონდა ომის დაწყებამდე. ქართული საზოგადოების მიხედვით პუტინს და რუს პოლიტიკოსებს მამაცურად უნდა აეტანათ თბილისიდან წასული ლანძღვა-გინება, საერთაშორისო არენაზე რუსეთის დამცირება, რუსი მშვიდობისმყოფელების დახოცვა და ხელმოწერილი დოკუმენტის არაფრად ჩაგდება, ცხინვალში სადამსჯელო სამხედრო ოპერაციის ჩატარება და სხვ., თანამედროვე ისტორიაში ნაკლებად შეიძლება მოიძებნოს მსგავსი მაგალითების, ანუ გამოხდომების ამტანი ბირთვული სახელმწიფო, გარდა ამისა, პუტინი ასრულებდა და ასრულებს იმ პოლიტიკოსის მოვალეობას, რომლის უპირველესი მოწოდებაა სამშობლოს ინტერესების დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ იქნებოდა ამ დიდი ქვეყნის ლიდერი. რუსეთი უდიდესი სახელმწიფოა თითქმის ყველა რესურსით, მას ანგარიშს უწევენ ყველგან და გვსურს თუ არა, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. ამ მხრივ დიდი მუშაობის ჩატარება მოუწევს ოპოზიციურ პარტიებს, რომელთა პოზიციაც ხელისუფლების პოზიციის იდენტურია. ხელისუფლება-ოპოზიციის ერთმანეთზე წაკიდება — შენ რუსეთის აგენტი ხარო, კარგს არაფერს მოიტანს.

2012 წელი დიდი არჩევნების წელია. 22 აპრილს საფრანგეთში გაიმართება საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური, მეორე 6 მაისს გაიმართება, ნოემბერში კი აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებია. ხელისუფლება შეიცვლება ჩინეთში. ჩინელი რეფორმატორის დენ სიაოპინის მიერ შემოღებული სისტემა მოქმედებს. მისი მიხედვით დღევანდელი პარტიის პირველ პირსა და პრემიერ-მინისტრს, მთლიანად ხელისუფლებას, ათწლიანი მმართველობის ვადა შემოდგომაზე ეწურებათ. შემცვლელები კარგა ხნის მოძებნილები არიან. ისინი საცდელ ვიზიტებს ახორციელებენ უცხოეთში. ზემოთ მოყვანილ ქვეყნებში გამართული არჩევნები პირდაპირ თუ ირიბად საქართველოზეც მოქმედებს. საფრანგეთი ევროკავშირისა და ნატოს მძიმეწონიანი წევრია. მისი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ სერიოზულად აირეკლება ამ ორგანიზაციებზე.

აქედან გამომდინარე ჩვენთვის უინტერესო არ უნდა იყოს საფრანგეთის არჩევნები. **სარკოზი და საფრანგეთი ინტერესის საგანია, უპირველესად ნატოში შესვლის გზაზე. არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის, რომ ევროპული ტანდემის — გერმანია-საფრანგეთის განწყობა საქართველოს ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით ნეგატიურია. და რაც არ უნდა ეცადოს საქართველოს ხელისუფლება, აზრი შეაცვლევინოს მათ, უშედეგო იქნება. აზრის შეცვლის ერთადერთი გზა ნატოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებაა, რაც თითქმის შეუძლებელია.** სარკოზის სახელი განსაკუთრებული პატივისცემით ჟღერს საქართველოში, რაც 2008 წლის ომში შუამავლობის როლით არის განპირობებული. რომ არა სარკოზი, რუსები თბილისშიც შემოვიდოდნენ და სააკაშვილის ხელისუფლებასაც დაამხობდნენ. **სარკოზის ხსენება გარკვეულ გაღიზიანებას იწვევს იმათში, ვინც სააკაშვილის ხელისუფლების დამხობაზე ოცნებობდა. მათთვის მთავარი იყო და არის სააკაშვილის ჩამოგდება და თუ ვინ განახორციელებდა ამას, მნიშვნელობა არ ჰქონდა.** სარკოზის პრეზიდენტად დარჩენა საქართველოზე ნაკლებად არის დამოკიდებული, ის დამოკიდებულია 45 მილიონ ფრანგ ამომრჩეველზე. თუ ისინი დადებითად შეაფასებენ სარკოზის განვლილ მოღვაწეობას და სამომავლო გეგმებს, სარკოზი მომავალი 5 წლის განმავლობაში გააგრძელებს საქმიანობას. სარკოზის 9 კანდიდატი ეპაექრება. მათ შორის გამოკვეთილია სოციალისტების ლიდერი ოლანდი. დე გოლის მიერ ჩატარებული საარჩევნო რეფორმებიდან გამომდინარე პრეზიდენტობის კანდიდატის დასარეგისტრირებლად საჭიროა 500 მხარდამჭერის შეკრება. ამ ხუთასში უნდა იყვნენ არჩევითი თანამდებობის მატარებლები.

# ფრანგები მხოლოდ ორამდე ითვლიან



რომ იტყვიან, ფრანგები ორამდე ითვლიანო, სწორედ ამ არჩევნებზეა ზედგამოჭრილი. ფრანგი ამომრჩევლის საკმაო ნაწილი თვლის, რომ სარკოზი პრეტენზიულია. ის და მისი მეუღლე კარლა ბრუნი ჰოლივუდის ვარსკვლავებივით იქცევიან. ხშირად ირონიულად სარკოზის მფრინავსარკოსაც უძახიან. მისი ჰობი საგარეო პოლიტიკაა, რაც თავისთავად მოითხოვს სისტემატურ ფრენას. მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპაში არსებული კრიზისიდან გამომდინარე, საარჩევნო მარათონში მონაწილეთა ყურადღება მახვილდება ეკონომიკურ საკითხებზე, უმუშევრობაზე, მსყიდველობითი უნარის დაქვეითებაზე, მიგრაციაზე.

ეს საკითხები აწუხებს ფრანგ ამომრჩევლებს. თავის გამოსვლებში სარკოზი ხაზს უსვამს ნაციონალურ საკითხებს, მაგალითად „უცხოელთა სიჭარბეს" და მოითხოვს მათი რაოდენობის შემცირებას. ამ თვალსაზრისით ის მზადაა შენგენის ვიზის გამკაცრებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში შენგენის ხელშეკრულებიდან გამოსვლით იმუქრება. სარკოზიმ საბოლოო წერტილი დაუსვა გოლიზმს. მან დააბრუნა საფრანგეთი ნატოში, წინა პლანზე წამოსწია საფრანგეთის როლი ყოფილ კოლონიებში, სარკოზიმ შეძლო ამბოხებული კოტ დ' იუარის დაშოშმინება ფრანგული ლეგიონით. ექსპერტები განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნენ კადაფის შვილის ალ ისლამის განცხადებას სარკოზისათვის მილიონების მიცემის თაობაზე 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. ფრანგებმა ხელისუფლების მიერ ტერორისტთა წმენდის ჩატარება დადებითად შეაფასეს, თუმცა საზოგადოების ნაწილმა მიიჩნია, რომ ეს ღონისძიება მძიმე ეკონომიკურ-სოციალური ვითარების გადასაფარად იყო მოწყობილი. სარკოზის მიერ აგორებულ სომეხთა გენოციდის საქმეს ცივი წყალი გადაასხა საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელმაც არ გაიზიარა ხელისუფლების მოსაზრება. ანტისარკოზული განწყობა დაფიქსირდა მისი ბაიონში ვიზიტის დროს, სადაც წარმოშობით ბასკი ფრანგები მტრულად შეხვდნენ პრეზიდენტს. მათ არათუ გამაყრუებელი სტვენა ატეხეს ქუჩებში, სადაც პრეზიდენტის კორტეჟი მიემგზავრებოდა, არამედ ქუჩებიც გადაკეტეს. სარკოზის ერთი საათით ერთ-ერთ ბარში მოუწია ყურყუტი, ვიდრე სამართალდამცავებმა არ გაათავისუფლეს ქუჩა პროტესტანტებისგან.

თავის გამოსვლებში სარკოზი აქცენტს აკეთებს სელექციურ იმიგრაციაზე. მისი მიზანია საფრანგეთში უცხოელთა შესვლის შეზღუდვა. ამ საქმეში მას მხარს საფრანგეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭერს. სარკოზი თვლის, რომ ახალი უცხოელების შემოსვლის ნაცვლად ძველებს უნდა გაუუმჯობესდეს საცხოვრებელი პირობები, ისინი უნდა დაკმაყოფილდნენ სამუშაო ადგილებით, მათ უნდა შეასწავლონ ფრანგული ენა და სხვა.

სრულიად განსხვავებული პოზიცია უკავია სოციალისტების ლიდერს ფრანსუა ოლანდეს. ოლანდი არც ქარიზმით და არც ორატორული ნიჭით არ არის დაჯილდოებული. მას „ნორმალურს" და „წყნარს" ეძახიან. ოლანდი 25 წელი იმყოფებოდა საკანონმდებლო ორგანოში. ალბათ ამის არის გამოწვეული სურვილი, რომ პრეზიდენტად გახდომის შემთხვევაში ის გაზრდის პარლამენტის როლს. მისი განცხადებით პარლამენტართა დიდი ნაწილი გრძნობს, რომ ისინი არავის სჭირდებათ, ხოლო უმცირესობის დეპუტატი აშკარად გრძნობს მის მიმართ არსებულ უპატივცემულობას. ოლანდს, გამარჯვების შემთხვევაში, გადაწყვეტილი აქვს პარლამენტის მიერ მთავრობის კონტროლის განხორციელება. სოციალისტთა ლიდერი მიიჩნევს, რომ უნდა გატარდეს მმართველობის დეცენტრალიზაცია, გარდა ამისა, ის ნაკლებად იქნება დამოკიდებული თავის პარტიაზე. ოლანდი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, მაგრამ ყველა — არა. ის ხშირად ციტირებს აღორძინების ეპოქის ფრანგი ფილოსოფოსის მიშელ დემონტენის სიტყვებს: „იყო ყველგან ნიშნავს იყო არსად". ეს სიტყვები პირდაპირ სარკოზისკენ არის მიმართული, რომელიც ხშირად იჭრება სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციაში. **ოლანდი მზადაა, გაზარდოს სახელმწიფო ორგანოთა ხელმძღვანელების, პრეფექტების, ელჩების სტატუსი. გარდა ამისა, მას სურს დააწესოს 75-პროცენტიანი გადასახადი იმათზე, ვისი წლიური შემოსავალიც აჭარბებს მილიონ ევროს. ამ ინიციატივამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია მოსახლეობაში. პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ოლანდი მზადაა, თვით შეიმციროს და შეუმციროს ხელფასი მინისტრებს. ამჟამად პრეზიდენტის თვიური ხელფასი 21 176 ევროა. მკითხველს ახსოვს რაოდენ დიდი საპროტესტო აქციები გამოიწვია სარკოზის გადაწყვეტილებამ საპენსიო ასაკის გაზრდასთან დაკავშირებით. ოლანდი პირდება ამომრჩეველს საპენსიო ასაკის ძველ ზღვარზე (60 წელი) დაბრუნებას.**

ორ მთავარ პრეტენდენტს შორის განსხვავება უმნიშვნელოა. სპეციალისტების გათვლით პირველ ტურში მეტ ხმებს სარკოზი დააგროვებს, მაგრამ მეორე ტურში ოლანდი იმარჯვებს. გამართლდება თუ არა მათი ვარაუდი, მალე გამოჩნდება.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

ინფორმაცია

## თელავის სასამართლომ დუტა სხირტლაძის წინააღმდეგ სარჩელის განხილვაზე უარი თქვა

**თელავის რაიონულმა სასამართლომ ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ტექნიკური თანამშრომლების მიშა გოგინაშვილისა და გია ზარაფაშვილის სარჩელის განხილვაზე უარი თქვა. გოგინაშვილი და ზარაფაშვილი სახელფასო დავალიანებას ითხოვდნენ.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს" მოსარჩელეებმა განუცხადეს, მოსამართლე გოგიტა თათოსაშვილმა სარჩელის გაუქმების მიზეზად სასამართლოზე მათი ორი წუთით დაგვიანება დაასახელა. პროცესზე არც დუტა სხირტლაძე გამოცხადებულა.**

**„უკვე ათი თვეა, ხელფასი არ ამიღია. თეატრს ჩემ მიმართ ორი ათასი ლარის დავალიანება აქვს, რის გამოც, მმართველს, დუტა სხირტლაძეს სასამართლოში ვუჩივლე", — განაცხადა თელავის თეატრის მეხანძრემ მიშა გოგინაშვილმა.**

**სახელფასო დავალიანების მოთხოვნით სარჩელი სასამართლოში შარშანაც შევიდა. თელავის სასამართლომ მაშინ სარჩელი დააკმაყოფილა და თეატრის მმართველს სახელფასო დავალიანების — 4600 ლარის გადახდა დააკისრა. ამასთან, როგორც „ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტი თელავიდან იუწყება, ამ დროისთვის თელავის სახელმწიფო დრამატული თეატრი მთლიანად პარალიზებულია. თეატრს არ მიეწოდება წყალი და ელექტროენერგია. თეატრში რამდენიმე თვეა, აღარ გამართულა სპექტაკლი. თეატრის მსახიობების თქმით, უკვე ექვსი თვეა, დუტა სხირტლაძე თეატრში არ ყოფილა. თელავის თეატრის მსახიობები — ვანო იანტბელიძე და ვენერა ფეიქრიშვილი გამოსავალს მმართველის თანამდებობიდან დუტა სხირტლაძის წასვლაში ხედავენ.**

ინტერპრესი

**ხედვა უცხოეთიდან**

(მეოთხე გვერდიდან)

თუ ვინმე სუფთა რეპუტაციით და თანაც ვალმოხდილი წავიდა ამ ეპოპეიდან, ეს მერაბ კოსტავა იყო. გოლიათი გაწირეს გულწრფელი, გულუბრყვილო და სუფთა დარჩა... არა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქართველო დამოუკიდებლობა მოიპოვებდა, ვერაფრით წარმოიდგენდი, რომ ზვიად გამსახურდია პრეზიდენტი გახდებოდა... არც ზვიადს და არც მერაბს არათუ ქვეყნის, სამკაციანი კოლექტივის მართვის გამოცდილებაც არ ჰქონიათ... სამწუხაროდ, ეს ვერც ზვიად გამსახურდიამ შეძლო და მისი პრეზიდენტობა მისთვისაც და ქვეყნისთვისაც ტრაგიკულად დასრულდა“ („ასავალ-დასავალი“, № 13, 2012წ.).

ზვიად გამსახურდიას პიროვნების შეფასების საკითხში ჯუჟუნა პატიაშვილს, ცხადია, ვერ დაეთანხმება „პირველი პრეზიდენტის“ თაყვანისმცემელი ელიზბარ ჯავახიშვილი (არ მინდა „ზვიადისტი“ ვაკადრო, რადგან ეს ტიტული ზვიადურით დაბალი კატეგორიის ადამიანებისთვის არის შესაფერი, ბატონი ელიზბარი კი აკადემიკოსი ბრძანდება). მისი რიტორიკული კითხვით, „თუ ზვიად გამსახურდია ასეთი გამოუცდელი პოლიტიკოსი და ცუდი სახელმწიფო მოღვაწე იყო, როგორ აამხედრა ეროვნული მოძრაობა და როგორ დაამარცხა მრავალპარტიულ არჩევნებში უზარმაზარი კომუნისტური პარტია?!“ („ასავალ-დასავალი“, № 14, 2012წ.).

პატივცემულ აკადემიკოსს, ჩანს, არ მოეხსენება, რომ ეროვნული მოძრაობა ინტელიგენციის თაოსნობის მიერ ხანგრძლივი ინტელექტუალური რუდუნებით, „ზვიადობა“ (ბატონი ზვიადი ამას „ამორფობას“ უწოდებდა) და არა ინტელიგენციისა და არა ვიღაც „ლიდერების“ მიერ ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლით, მაგრამ თუ მაღლივი ჯუჟუნა პატიაშვილის მიერ მოხსენიებული გუმბარიძის ყოვლისშემძლე კანტორის თანადგომა, სამკაციანი კოლექტივის მართვის გამოუცდელი კი არა, სამ ბატს რომ ვერ მიხედავდი, ისიც კი შეძლებდა ნებისმიერი „ეროვნული მოძრაობის“ აგორებას. იგივე შეიძლება ითქვას ჟურნალისტ ნანა დევდარიანის „არგუმენტის“ მიმართაც, რომლის თანახმად, „ზვიად გამსახურდიამ არჩევნებში მოიგო არჩევნებამდე გაცილებით ადრე და იმიტომ მოიგო, რომ გახდა საერთო-ეროვნული ლიდერი“.

ვინც იყვნენ „ეროვნული მოძრაობის“ ლიდერები, ასე თუ ისე, გავეცანით. გასარკვევი დგება ის, თუ რას ერჩოდნენ ისინი ქართველ ინტელიგენციას? რას ერჩოდნენ და იმას ერჩოდნენ, რომ უნდოდათ სახელი გაეტეხათ მისთვის ხალხის თვალში, რათა ნდობა დაეკარგა ხალხს თავისი ინტელიგენციის მიმართ და მარტო დარჩენილიყო, უთავოდ და უგონოდ, რადგან ინტელიგენცია არის ხალხის თავი და გონება. მაშასადამე, ის ვაი-ლიდერები და მათი დამქირავებლები ხალხს ერჩოდნენ და არა ინტელიგენციას, და ერჩოდნენ იმისათვის, რომ მშრალზე დაეტოვებინათ იგი, როგორც დატოვეს, თორემ ინტელიგენციას რას გამორჩებოდნენ: „სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი, მას გეცილების ვერავინ, არ არის გასაყოფელი“.

**ლიდერები, როგორც ჩანს, დავალებით მოქმედებდნენ. დავალებულსა და დამვალებელს შორის შემდგომი დაჯახება კი იმის გამო უნდა მომხდარიყო, რომ დავალებულმა პირობა აღარ შეასრულა და „გადააგდო“ დამვალებელი: არჩევნებში კომუნისტების დამარცხებინების შემდეგ ბატონი ედუარდის მოწვევის ნაცვლად, ბატონმა ზვიადმა თავისთვის მოირგო „პრეზიდენტობა“ და — მოხდა ის, რაც მოხდა. რაც შეეხება ინტელიგენციის დისკრედიტაციას, ეს უბრალოდ იმისათვის სჭირდებოდა ორივე მხარეს, რომ იოლად დაემარცხებინათ უბელადოდ დატოვებული ხალხი.** ვაჟა-ფშაველას თქმით, „ყველგან და ყოველთვის ერის ძალა ინტელიგენცია ყოფილა და იქნება. იგი ბელადია, სარდალია, და ხომ მოგეხსენებათ, სარდლის ნიჭსა და მოხერხებაზეა დამოკიდებული გამარჯვება, მტრის დამარცხება“. **ამრიგად, ზვიად გამსახურდიამ პრეზიდენტობა კი მოირგო, მაგრამ ქვეყნის მართვა ველარ შეძლო.** ინტელიგენცია ხედავდა, რომ ქვეყანა იღუპებოდა: **ორ-სამ თვეში ცხინვალის რეგიონი დე ფაქტო დაიკარგა. ამის მიზეზი, ანტიოსურ რიტორიკასთან ერთად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიის თვითნებური გაუქმებაც იყო. გამსახურდიამ, იმის ნაცვლად, რომ დიპლომატია გამოეჩინა და მოთათბირებოდა ოსი ეთნოსის**

# ეროვნული მოძრაობა და ინტელიგენცია




**ლიდერებს, ცხინვალში სამიტინგოდ მიეჭრა მათ და ზოგიერთი ლიდერი ციხეშიც ჩასვა, უდანაშაულო ეთნიკური ოსების მიმართ კი საზიზღარი დანაშაული ჩაიდინა, როდესაც ისინი სამსახურებიდან გამოყარა და აიძულა საცხოვრებელი ადგილები დაეტოვებინათ.**

**დაკარგვის საფრთხის წინაშე იდგა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაც, რომლის მოსახლეობასაც ბატონი ზვიადი ჩრდილოკავკასიიდან გადმოხვეწილ „სტუმრებს“ უწოდებდა და „სამშობლოში“ გასახლებით ემუქრებოდა. ინტელიგენციას არ უყვარს პოლიტიკაში ჩარევა, ქუჩაში მიტინგობა და დემონსტრაციები, მაგრამ შექმნილმა სახიფათო ვითარებამ აიძულა იგი, ხალხთან ერთად ქუჩაში გამოსულიყო და პოლიტიკურად უმწიფარი პრეზიდენტის გადადგომა მოეთხოვა. ამის პასუხად, მან წალენჯიხიდან ავტობუსებით მომხრეები ჩამოიყვანა და დაუპირისპირა თბილისის მოსახლეობას (სხვათა შორის, იმავეს აკეთებს დღეს სააკაშვილიც), რითაც ფაქტობრივად გახლიჩა ქართველი ერი.** აფხაზეთის ომის დროს ჩეჩნეთიდან სამეგრელოში ჩამოფრენილი „პირველი პრეზიდენტი“, ელცინის წაქეზებით, საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად გახლეჩასაც აპირებდა, მაგრამ ედუარდ შევარდნაძემ იმარჯვა და საშუალება არ მისცა მას, სისრულეში მოეყვანა ეს ბოროტი განზრახვა. ქართველ ინტელიგენციას არასდროს ამოსდიოდა მზე და მთვარე „ამხანაგ“ შევარდნაძეზე, მაგრამ ამ გადამწყვეტ მომენტში იგი იძულებული გახდა ბატონი ედუარდის მხარეს დამდგარიყო.

**პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას კი სურს დაგვაჯეროს, თითქოს ქართველმა ინტელიგენციამ გახლიჩა ერი და დიდი დანაშაული ჩაიდინა იმით, რომ მხარი დაუჭირა ქვეყნის მხსნელ შევარდნაძეს (ამ შემთხვევაში სხვას ვერაფერს უწოდებ საერთოდ ოდიოზურ ამ პიროვნებას). ორგანიზაცია „სამეგრელოს“ თავმჯდომარე გაზ. „საქართველო და მსოფლიოში“** (28.03.2012წ **გამოქვეყნებულ ინტერვიუში „ერის გახლეჩასა“ და „ეროვნული თვითშეგნების დათრგუნვაში“ ქართველ ინტელიგენციას სდებს ბრალს:** „უკვე 20 წელიწადზე მეტია, ერი დამანგრეველ იდეოლოგიურ თავდასხმებს განიცდის, რომლის მასშტაბებსაც საქართველოს ისტორიაში ანალოგი არ აქვს... მე მაშინ არა მთელ ინტელიგენციას, არამედ ე. წ. ელიტურ ინტელიგენციას ვაკრიტიკებდი. საქმე ისაა, რომ გვიანსაბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში ინტელიგენციად მიიჩნიეს მხოლოდ ე. წ. შემოქმედებითი ინტელიგენცია — მსახიობები, რეჟისორები, პოეტები, მწერლები, ხანდახან მათ აკადემიკოსებს და პროფესურას ამატებდნენ. სინამდვილეში კი ინტელიგენციის, როგორც სოციალური ფენის ძირითად ნაწილს, წარმოადგენდნენ მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, ინჟინრები, სამეცნიერო მუშაკები, ანუ ის ხალხი, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში საშუალო კლასის როლს ასრულებდა... რაც შეეხება ელიტურ ინტელიგენციას, იგი წარმოადგენდა იმ ვიწრო წრეს, რომელსაც საბჭოთა კავშირის დროს დიდი ზეგავლენა ჰქონდა მოსახლეობაზე, მისი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა... შევარდნაძის, ძველი ინტელიგენციისა და „ახალგაზრდა რეფორმატორების“ პოლიტიკური სიმბიოზი აღმოჩნდა ის ძალა, რომელმაც დაანგრია სახელმწიფო, დაშალა ჩვენი საზოგადოება, ქვეყნის მოსახლეობას ორიენტაცია დაუკარგა. შევარდნაძის დანაშაულში თანამონაწილეობით ამ ინტელიგენციამ მოსახლეობის თვალში საკუთარი თავის დისკრედიტაცია მოახდინა, დაკარგა ავტორიტეტი, მეტიც, შევარდნაძის მიმართ სიძულვილი ხალხმა მათზეც გადაიტანა, ამიტომ „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ისინი მოისროლეს, ზიზღით გამოაცხადეს „ჩარეცხილებად“... ინტელიგენციის პასუხისმგებლობა იმ კატასტროფის გამო, რომელიც ქვეყანას დაემართა, ძალიან დიდია. ზოგიერთი მათგანი მიხვდა, რამდენად უზნეო თამაშში გამოიყენეს და საკუთარ დანაშაულს გრძნობს. მათ გულწრფელად უყვართ სამშობლო, საკუთარი ხალხი, ხედავენ, როგორ იღუპება ერი და ინგრევა სახელმწიფო. მე თანაგრძნობით ვკითხულობ მათ სტატიებს, ინტერვიუებს, ვგრძნობ მათ ტკივილს, მათ სულიერ ტანჯვას, მაგრამ ჯერ არ მსმენია, მათგან ვინმეს ეღიარებინოს, რომ ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა შევარდნაძის პოლიტიკის კანონზომიერი შედეგია, რომელსაც ისინი ოდესღაც ასე მტკიცედ უჭერდნენ მხარს“.

ქართველი ერი რომ ისტორიაში უანალოგო დამანგრეველ იდეოლოგიურ თავდასხმებს განიცდის, ამაში მართალია ბატონი ალექსანდრე, მაგრამ საიდან მომდინარეობს ეს თავდასხმები და რა შუაშია აქ ქართველი ინტელიგენცია, მით უმეტეს, მისი შემოქმედებითი ნაწილი?! ინტელიგენციის ასეთნაირად დაყოფას, ალბათ, ის აზრი აქვს, რომ შემოქმედებითი ნაწილი შეგნებულად დადგა შევარდნაძის მხარეს, „არაშემოქმედებითი“ ნაწილი კი შეუგნებლად გაზვიადისტდა. მაგრამ შეგნებულმა პოლიტოლოგმა ამ შემთხვევაში მაინც შეუგნებელი ნაწილი უნდა ლანძღოს და არა შეგნებული ნაწილი. ბატონი ალექსანდრე კი პირიქით იქცევა: იგი შემოქმედებით (ბ-ნი ჭაჭიას ინტერპრეტაციით, „ელიტურ“) ინტელიგენციას ლანძღავს იმისათვის, თითქოს მას „დაენგრიოს სახელმწიფო და დაეშალოს ჩვენი საზოგადოება“. პოლიტოლოგიის პროფესორს უნდა მოეხსენებოდეს, რომ სახელმწიფოებს ხელისუფლებები შლიან და არა ინტელიგენციები. ამ საქმეში კი არც ბატონი ედუარდის გამართლება შეიძლება და არც არავინ ამართლებს. რაც შეეხება იმ მომენტში ინტელიგენციის პოზიციას, იგი, საერთოეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ერთადერთი სწორი და გამართლებული გახლდათ. ძველი ინტელიგენციისა და ახალგაზრდა რეფორმატორების „პოლიტიკური სიმბიოზი“ კი პოლიტოლოგის ფანტაზიის ნაყოფია, რაც ქართველი ერის საუკეთესო ნაწილისათვის კიდევ ერთხელ ლაფის მისასხმელად „ახალგაზრდა რეფორმატორების“ მიერ მათი „ჩარეცხვის“ გასამართლებლად სჭირდება. პოლიტოლოგი ამ „ჩარეცხვის“ გამო ვითომ იბრალებს ინტელიგენციას: „მათ გულწრფელად უყვართ სამშობლო... მე თანაგრძნობით ვკითხულობ მათ სტატიებს, ინტერვიუებს, ვგრძნობ მათ ტკივილს, მათ სულიერ ტანჯვას“ და ა.შ.ძ, მაგრამ ეს უფრო „ახია მათზე“-ს ჰგავს, ვიდრე შებრალებას: „მაგრამ ჯერ არ მსმენია, მათგან ვინმეს ეღიარებინოს, რომ ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობა შევარდნაძის პოლიტიკის კანონზომიერი შედეგია, რომელსაც ისინი ოდესღაც ასე მტკიცედ უჭერდნენ მხარს“. ჰაი, ჰაი, რომ აღიარებდნენ, დღევანდელი მდგომარეობა შევარდნაძისდროინდელ მდგომარეობაზე უკეთესი რომ იყოს, მაგრამ როგორ აღიარონ, როცა უარესია?! სინამდვილეში, **დღევანდელი მდგომარეობა შევარდნაძის პოლიტიკის კანონზომიერი შედეგი კი არ არის, არამედ გამსახურდიასდროინდელი ანტირუსული „პოლიტიკის“ შედეგია, რაც გამოუვალს ხდის დღევანდელ მდგომარეობას. ბატონ ჭაჭიას ანტიინტელიგენციური „სულისკვეთება“ რომ თანხმობაში მოდის ბატონი ზვიადის ანტიინტელიგენციურ „სულისკვეთებასთან“, ეს გასაგებია; მაგრამ როგორ ეთანხმება პირველის პრორუსული სულისკვეთება მეორის ანტირუსულ „სულისკვეთებას“?!**

**ომარ ხახაშვილი,**
ბელგიის მოქალაქე. 10.04.2012

**ნორმალურ ქვეყნებში ეს არ ხდება**

# პრეზიდენტმა კანონი დაარღვია

პრეზიდენტმა კანონი კიდევ ერთხელ დაარღვია. ამჯერად ივანიშვილისთვის მოქალაქეობის მინიჭების თხოვნაზე პასუხის გაუცემლობით. 9 აპრილს ის ოთხდღიანი ვადაც ამოიწურა, რომელიც პრეზიდენტს იუსტიციის მინისტრის მოადგილის განცხადებით ჰქონდა.

საუბარია იუსტიციის მინისტრის მოადგილის თინა ბურჯალიანის მიერ რამდენიმე დღის წინათ პარლამენტში გაკეთებულ განცხადებაზე, სადაც მან თქვა, რომ ხელისუფლებას ივანიშვილის თხოვნისთვის პასუხის გასაცემად სამ თვეს კიდევ ოთხი დღე უნდა დამატებოდა, რადგან განცხადების შეტანის შემდეგ, რაღაც ხარვეზის გამოსასწორებლად სამდღიანი ვადა მისცეს.

იმის გამო, რომ ივანიშვილის მიერ პრეზიდენტის სახელზე ნატურალიზაციის გზით მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით განცხადება 5 იანვარს შევიდა და შემდეგ სამი დღე დაემატა, პრეზიდენტს საბოლოო პასუხი 9 აპრილს უნდა გაეცა. ამასთან, ეს არის ბოლო ვადა.

სხვა საკითხია, პრეზიდენტი რა პასუხს გასცემს და მისი პასუხი იქნება თუ არა სამართლიანი, რადგან ხელისუფლების მიერ „ქრისტიან-დემოკრატების“ მეშვეობით დაწყებული კამპანია — ევროკავშირის მოქალაქეებისთვის პასიური საარჩევნო უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით, ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ სააკაშვილს უკან დახევა არ სურს.

ცხადია, ეს თავისთავად საკმაოდ დიდი პრობლემაა და ამაზე უკვე ძალიან ბევრი ითქვა. ამ შემთხვევაში საუბარია მეორე პრობლემაზე, რაც პრეზიდენტის მიერ კანონის მორიგ დარღვევაში გამოიხატება.

თხოვნაზე პასუხის გასაცემად კანონმდებლობით განსაზღვრულია კონკრეტული ვადა და პრეზიდენტი ვალდებულია, კანონი შეასრულოს. მაგრამ, როგორც ჩანს, პრეზიდენტს ამ თემაზე საუბარიც კი აღარ სურს. ცხადია, ეს განპირობებულია იმით, რომ სააკაშვილს არ სურს, საკუთარი გადაწყვეტილება უკან წაიღოს და ივანიშვილს მოქალაქეობა მისცეს. მაშინ მთელი ამდენი თვის კამპანია, რომ ის მოქალაქეობის ჩამორთმევას იმსახურებდა, წყალში ეყრებათ და ქართულ თუ არა, საერთაშორისო საზოგადოებასთან მაინც მოუწევთ თავის მართლება.

მეორე მხრივ კი, თუკი პრეზიდენტი მას უარს ეტყვის, მაშინ კანონმდებლობა ავალდებულებს, რომ დაასაბუთოს, რატომ უთხრა უარი. უარის სათქმელად მკაფიოდ განსაზღვრული კრიტერიუმები არსებობს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ივანიშვილი ან საერთაშორისო ტერორისტი უნდა იყოს, ან ინტერპოლით ძებნილი კრიმინალი და, ან ჩადენილი უნდა ჰქონდეს სამშობლოს წინაშე დანაშაული. ცხადია, პრეზიდენტი ვერც ერთ მიზეზს ვერ დაასახელებს და ამიტომაც არ სურს, მას პასუხის გაცემა.

თუმცა, სააკაშვილს ამას კანონი ავალდებულებს და ქვეყნის პირველი პირი უნდა იყოს მაგალითი იმისა, თუ როგორ ხდება კონსტიტუციის და კანონის დაცვა.

პრეზიდენტის სათანადო ბრძანებულება არსად არ გამოქვეყნებულა და არც ივანიშვილს გაგზავნია პასუხი. იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილის პასუხი რამდენიმე დღის შემდეგ ძველი თარიღით არ გამოაქვეყნეს, ეს ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის პირველმა პირმა კიდევ ერთხელ დაარღვია კანონი. კანონის დარღვევას კი, წესით, სათანადო რეაგირება უნდა მოჰყვეს, მაგრამ პრეზიდენტს ვინ გაუბედავს, დასაჯოს თუ არა, იმის თქმას მაინც, რომ ნორმალურ ქვეყანაში პრეზიდენტები კანონებს არ არღვევენ.

**თეონა ხარაბაძე**

# პოლიტიკური ანგარიშსწორება?

SIC!

## რუსეთში სულხან-საბა ორბელიანისა და ბაგრატიონების საფლავები ნადგურდება?..



**გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე ქართველთა რუს სიძეს, ნინო ჭავჭავაძის მეუღლეს ალექსანდრე გრიბოედოვს ანდერძი დაუტოვებია, მთაწმინდაზე დამასაფლავეთო. ალექსანდრე გრიბოედოვს ანდერძი შეუსრულეს, მაგრამ რუსეთ-საქართველოს პერიოდული დაპირისპირებისა და ე.წ. ცივი ომის დროს ანტირუსული მანტიის მოსარგებად ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ხან პუშკინის ძეგლის აღებაზე ალაპარაკდებიან, ხანაც გრიბოედოვის ნეშტის მთაწმინდიდან გადასვენებაზე. თუმცა, საბოლოოდ, ეს ყველაფერი ხელისუფლების რიტორიკად რჩება და საქართველოში ჩამოსული ცნობილი რუსების საფლავებიცა და ქანდაკებებიც ხელშეუხებელია. სამაგიეროდ, ქართულ ძეგლებთან მიმართებით რუსეთში საფრთხე უფრო რეალურია. უკვე ცნობილია, რომ რუსეთში, დაბა ვსესვიატსკოეში ბაგრატიონთა უძველეს საფლავებს საფრთხე ემუქრება. დარეჯან დედოფლის მიერ აგებულ ყველაწმინდას სახელობის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც სულხან-საბა ორბელიანი და სხვა ქართველი მოღვაწენი არიან დაკრძალულნი, მოსკოველმა მაღალჩინოსნებმა უკანონო მშენებლობა წამოიწყეს.**

**ვსესვიატსკოეში ქართველთა ისტორიულ ნაკვალევზე მისულ, წარმომავლობით ქართველ არქეოლოგს გიორგი რამაზაშვილს, ერთ-ერთმა ადგილობრივმა პირდაპირ მიახალა: როგორც იქნა, კარტოფილის შესანახად ადგილი მექნებაო. გავრცელებული ინფორმაციით, ქართველთა ძვლებზე სამეურნეო საწყობის აშენება იგეგმება. უკვე ნახევარ წელზე მეტია, ეს მშენებლობა მიმდინარეობს და ამ ხნის მანძილზე დაზიანდა არა მარტო ბაგრატიონთა საფლავები, არამედ ქართველთა მიერ აშენებული ტაძარი დანგრევის პირასაა, კომპლექსი დაზიანებულია, ბზარები გადიდებულია. რუსეთის საეკლესიო კომპლექსის დაცვისა და შენარჩუნების ორგანიზაცია დახმარებას ითხოვს. ასევე, დახმარებას ითხოვს ბაგრატიონთა საგვარეულო კომპლექსის დაცვის ორგანიზაცია, მაგრამ — ამაოდ.**

იმის მიუხედავად, რომ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ერთსართულიან ბეტონის ნაგებობებზე არავითარი სამშენებლო ნებართვა არ არსებობს და ტაძარი რუსეთის ფედერაციის დაცული ძეგლების ნუსხაშია, უკანონო მშენებლობა კვლავაც გრძელდება.

ბაგრატიონთა საფლავებთან დაკავშირებით გუშინ საქართველოს საგარეო უწყებამ რუსეთს შვეიცარიის მეშვეობით ოფიციალური ნოტით მიმართა. ამის შესახებ გუშინდელ ტრადიციულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა. მინისტრის მოადგილის თქმით, ამ ეტაპზე ქართული მხარე შეეცდება, სრული ინფორმაცია მოიპოვოს თუ რა სამუშაოები მიმდინარეობს საფლავებზე და იმ შემთხვევაში, თუ ეს დადასტურდება, მშენებლობების შეჩერების მოთხოვნით რუსულ მხარეს თხოვნით მიმართავს. ამის შემდეგ ქართული მხარე რუსეთთან ქართული ნეშტების გადმოსვენების საკითხს დასვამს. თუმცა, უკვე ცნობილია, რომ შვეიცარიის საელჩოში მოქმედი საქართველოს ინტერესების დაცვის განყოფილება რუსეთში, დაბა ვსესვიატსკოეში სულხან-საბა ორბელიანის საფლავის მდგომარეობაზე ინფორმაციას ვერ არკვევს.

**ტაძარი ვსესვიატსკოეში მეფე არჩილ მეორის ქალიშვილის დარეჯან ბატონიშვილის ძალისხმევით 1733-1736 წლებში აშენდა. ის მამასთან ერთად საქართველოდან რუსეთში იყო გადახვეწილი და ერთი წელი ვსესვიატსკოეში ცხოვრობდა. ტაძარში ღვთისმსახურება ქართულად აღევლინებოდა. იქვეა სასაფლაოც, სადაც დაკრძალულნი არიან ბაგრატოვანთა დინასტიის წარმომადგენლები და სხვა ქართველი დიდგვაროვნები. მათ შორის, სულხან-საბა ორბელიანი და გენერალ პეტრე ბაგრატიონის მამა იოანე ბაგრატიონი.**

**Presage.tv**-ს ესაუბრება ხელოვნებათმცოდნე **გიორგი ხოშტარია.** მისი თქმით, ვსესვიატსკოეში ქართული ნაკვალევი უდავოდ ღირებული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია.

**„აქ არის სულხან-საბას, ვახტანგ მეექვსის ნაკვალევი. როგორც ჩვენ ვუფრთხილდებით კულტურულ მემკვიდრეობას საქართველოში, ისე უნდა გაუფრთხილდნენ უცხოეთშიც. თუმცა, მაინცდამაინც, ამ გაფრთხილებას ვერ ვხედავ, ახლა, გარკვეული დათმობის ხარჯზე ეს კეთდება თურქეთთან. ასევე, ვსესვიატსკოესაც უნდა მიხედონ. მართალია, ჩვენ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი გვაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხმა არ ამოვიღოთ. კულტურის სფეროს მუშაკები უნდა ჩაერთონ საქმეში,“** — აცხადებს გოგი ხოშტარია.

რაც შეეხება ჩვენი საგარეო უწყების მხრიდან შვეიცარიის მეშვეობით რუსეთში საპროტესტო ნოტის გაგზავნას, გიორგი ხოშტარია მიიჩნევს, რომ ჩვენი ქმედება ცოტა უფრო აქტიური და საქმიანი უნდა იყოს.

**„მე არ ვიცი, ნოტის შინაარსი, ეს არ კმარა, კონკრეტულ ქმედებებზე უნდა გადავიდნენ, თორემ, ბოდიშს ვიხდი და, რუსული მხარე „ფეხებზე დაიკიდებს“ ამ ნოტას. უნდა აიწონოს, რა უფრო იმოქმედებს რუსებზე. იქნებ, რომელიმე ქართველმა კულტურის მოღვაწემ მიმართოს იქაურ კულტურის მოღვაწეებს, ეს შვეიცარიის მეშვეობით აჯობებს, თუ ცალკეულ პირთა მეშვეობით, ამაზე ისტორიკოსები და კომპეტენტური ხალხი უნდა შეჯერდეს,“** — მიიჩნევს ხელოვნებათმცოდნე.

ამ ისტორიული პიროვნებების ნეშტების საქართველოში გადმოსვენებას გიორგი ხოშტარია იმ შემთხვევაში მიიჩნევს დასაშვებად, თუკი მათ საძვალეს საფრთხე რეალურად დაემუქრება, ან თუ გარკვეულია, რომ აპირებენ მათი ძვლების გადაგდებას, მოსროლას. ისე კი, გოგი ხოშტარიას აზრით, ისტორიულად ეს ადამიანები იქ არიან დაკრძალულნი და ბოლომდე რუსეთში უნდა იყოს მათი საძვალე.

ამასთან, გოგი ხოშტარია არ გამორიცხავს, რომ რუსეთში ქართული ნაკვალევის წინააღმდეგ დაწყებული კამპანია პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უკავშირდებოდეს.

**„რეალობა არ ვიცით, კონკრეტულად, ვიღაც კერძო პირი სჩადის ამ ვანდალობას, თუ სახელმწიფოს დონეზე წყდება ეს საკითხი. ამდენად, მე აქ პოლიტიკური ანგარიშსწორების კვალს ვხედავ. ის, რაც ვსესვიატსკოეში მოიპოვება, ეს ჩვენი ისტორიაა. განა საკითხავია, მემორიალს რა ღირებულება აქვს? მეხსიერებას რა ღირებულება აქვს? ვახტანგ მეექვსე, მეფობის გარდა, დიდი ქართველი მოღვაწე გახლდათ. ამიტომ, ვახტანგ მეექვსის მარტო მეფობის დამსახურებაზე არ ვლაპარაკობ, მან პირველმა დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“, სტამბა გამართა, სამართლის წიგნი შექმნა. ბევრი კი არის მსოფლიოში სამართლის წიგნთა კრებულის დამწერი მეფე?! სულ რამდენიმეა. ამის გადაფასება ძალიან ძნელია. პირიქით, სულ ყურადღების ქვეშ უნდა იყოს ქართული ნაკვალევი რუსეთში. ისინი არიან ჩვენი „მემორიალები“, ანუ მეხსიერება“,** — აცხადებს ხელოვნებათმცოდნე.

**Presage.tv** დაუკავშირდა „კავკასიის ფონდის“ პრეზიდენტს, პროფესორ გივი ლამბაშიძეს, რომელიც ათეულობით წელია, იკვლევს ქართული კულტურის ძეგლებს საქართველოს ფარგლებს გარეთ, მათ შორის, მოსკოვის დონის მონასტერსა და ვსესვიატსკოეში.

მისი თქმით, სოფელ ვსესვიატსკოეში მდებარე ტაძარი ქართველებისთვის დიდად მნიშვნელოვანია, რადგან ტაძარსა და მის ეზოში განსასვენებელი ჰპოვეს მე-18-19 საუკუნეების ქართველმა მოღვაწეებმა, ბაგრატიონებმა, ქართველ დიდგვაროვანთა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებმა: ვახტანგ VI-ის ძეთა აღმზრდელმა და მოძღვარმა, ტაძრის პირველმა წინამძღვარმა გიორგი გარსევანიშვილმა, პეტრე ბაგრატიონის მამა ივანემ, პოეტმა დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონმა, მისმა მეუღლე მართა ციციშვილმა, მათმა ქალიშვილებმაც ანასტასიამ და ელისაბედმა (ავალიშვილისაძ, სიძემ — პოეტმა და დრამატურგმა გიორგი ავალიშვილმა, დიმიტრი, მიხეილ და პეტრე ციციშვილებმა, ელისაბედ დავითიძემ და სხვებმა.

გივი ლამბაშიძის თქმით, **არსებობს ცნობა, რომლის მიხედვითაც, სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც სიცოცხლის ბოლოს წმიდა სქიმით შეიმოსა, აქვეა დასაფლავებული. სხვათა შორის, საბას საფლავს ეძიებდნენ გიორგი ლეონიძე, პაოლო იაშვილი, ვლადიმერ პაპუაშვილი, ვლადიმერ ტატიშვილი, გიორგი ლომთათიძე, ნოდარ ალანია. ძიებას ისიც ართულებს, რომ ზუსტად არ ვიცით, საბა ძველ ეკლესიაში, თუ მის ეზოში იყო დასაფლავებული და დარეჯანის მიერ ახლადაშენებული ტაძარი რამდენად მოიცავდა ძველის საზღვრებს, რომელიც შემდეგაც გააფართოვეს. თუმცა, მეცნიერის აზრით, მცირეოდენი იმედი მაინც არის, რადგან ტაძრისეული გადმოცემით, საბა დასაფლავებულია დღევანდელი ტაძრის სივრცეში, სვიმეონ მიმრქმელის ნავის ქვეშ არსებულ აკლდამაში. ეს ურთულესი საკითხი კი, შეიძლება, მხოლოდ წყაროთმცოდნეობითი, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური და დნმ-ის მონაცემების ურთიერთშეჯერებით გადაწყდეს.**

**„სოფელ ვსესვიატსკოეს ტაძრის ქართული სასაფლაო, როგორც მიწისზედა ძეგლები, ისე თვით საფლავები, ნადგურდებოდა როგორც მთელი მეოცე საუკუნის (პ. იაშვილის, გ. ლომთათიძის და სხვათა მონაცემებით) განმავლობაში, ასევე, როგორც მოსკოვიდან მიღებული ბოლო ინფორმაციებით ვიგებთ, 21-ე საუკუნეშიც,“** — აცხადებს გივი ლამბაშიძე.

მისი ინფორმაციით, **პეტრე პირველმა ჩრდილოეთის ომში (1700-1721) გამარჯვების, 1722 წლის 30 იანვარს ნიშტადტის ზავის დადებისა და ქართველი ბატონიშვილის ალექსანდრეს ხსოვნის აღსანიშნავად, ვსესვიატსკოედან დაიწყო დიდი ამალითურთ ტრიუმფალური მსვლელობა.**

მანანა ნოზაძე
Presage.tv

წკეპლიკა

# ლარწალებულნი

აგრძელებს ერთი ყოველკვირეული გაზეთი ქართველ დიდჩინოსანთა ქონებრივი დეკლარაციების გამოქვეყნებას (ყოველ ნომერში ორ-ორისძ და ჩვენც, ინტრიგულად ჩასაფრებულნი, ვაგრძელებთ მათს კომენტირებას (რა გვენაღვლება!ძ; არადა, გონებრივი დეკლარაციების შევსებაზეც გადასვლის მხურვალე მოწოდების მიუხედავად, ამ უწყინარ აღსარებაზე ეგ დეკლარანტები ვერა და ვერ გადავიყვანეთ... თუმცა ისიც მისასალმებელია, რომ ჩვენი დროის სამშენებლო გამჭვირვალობის წიაღ დიდკაცებმა (და დიდქალებმა!ძ თავიანთი ხელფასები და უძრავ-მოძრავი ქონება გამჭვირვალე გახადეს, არ მალავენ...

სულ ბოლოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილისა და განათლების ხარისხის განვითარების(??ძ ეროვნული ცენტრის დირექტორის, ერთის მხრივ, და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილისა და ზედაც პროგრამა „ტრასეკას“ თავმჯდომარის, მეორე მხრივ, მატერიალურ „მონოლოგებს“ გავეცანით... ამჯერად სახელ-გვარებს რა ისეთი მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ არიან და აქვთ, ამიტომ მოდით, პირველი A-თი აღვნიშნოთ, მეორე — B-თი...

A-ს ხელფასი ერთ პოსტზე (პირველი მოადგილისაძ თვეში 4368 ლარი ყოფილა, მეორე პოსტზე (ცენტრის დირექტორისაძ — 3026 ლარი; B-ს ხელფასი ერთგან (მოადგილე სადაც არისძ თვეში 5 666 ლარია, მეორეგან (პროგრამის თავმჯდომარედ სადაც ზისძ — 1625 ლარი.

ჩემს „კომენტარებს“ სანამ შევუდგები, ერთ განცხადებას გავაკეთებ: ხალხო, სწორად გამიგეთ, განა არ ვიცი, რომ სხვის ჯიბეში სახელფასო უწყისებში, საბანკო ანგარიშებში ცქერა მაინცდამაინც ლამაზი არ არის! ღმერთმა მშვიდობით მოახმაროს ნაცური წელთაღრიცხვისა და ახალი წრთობის გოგო-ბიჭებს, — დრომ რომ ახალი ძალით დაჰკრა და ეს ნაცო-კაცუნო-ქალუნონი დიდმოხელეებად ამოატივტივა, — ყოველგვარი ქონება! განა მშურს მათი — ეს გაუმაძღრობა, ეს სოციალური უთანასწორობა, ეს ანაზღაურებითი განსხვავება, უარესზე-უარესი, ვინემ კომუნისტების დროს, მაშფოთებს და კიდევ ის მაშფოთებს, რომ ინიციატივებით სავსე, ყოველდღე ახალ-ახალი ინიციატივით „გამომავალი“ პრეზიდენტი, სახელ-გვარად მიშა მაგარია, ყველაფერ ამაზე კრინტს არ ძრავს. ერთი აქაც გამოიჩინოს ინიციატივა და თუ მართლა მაგარია, დაუცაცხანოს პარლამენტს — რა ამბავია, ამხელა ხელფასები თუ პრემიები რომ დაუშვით თქვენთვისაც და მთავრობაშიც, ეს ქვეყანა მართლაც „აყვავებადი“, განვითარებადი, პროგრესირებადი და სხვათაგან „მიბაძვადი“ ხომ არ გგონიათო...

ახლა კი A და B-ს მივუბრუნდები და ორიოდ შენიშვნას გამოვთქვამ: ორივე მოადგილეს რომ ორ-ორი თანამდებობა აქვთ შეთავსებული და ორივეგან ჩვეულებრივ მოკვდავებზე გაცილებით მეტ ხელფასს იღებენ — ეს გაუმაძღრობის ერთ-ერთ გამოვლენად ხომ არ ჩავთვალოთ. მინისტრის მოადგილეობით ისე კი უნდა იყო დაკავებული თუ დასაქმებული, რომ სხვა პოსტისთვის, სადაც ამხელა ანაზღაურება გენიშნება და მაშასადამე, სერიოზული საქმიანობა უნდა გელოდეს, ვერ უნდა იცლიდე. თანაც დავუკვირდეთ A-ს მეორე თანამდებობის უცნაურ სახელწოდებას — საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი. ხარისხის ამაღლება გამიგია, გაზრდა, გაუმჯობესება, მაგრამ განვითარება? ან თვით განათლებას უხდება ხარისხი? განათლების მდგომარეობა, განათლების დონე უფრო მართებული არ არის? ან, B-ს შემთხვევაში, ეს ეკონომიკასთან მიწებებული „მდგრადი განვითარება“ რაღა ჯანდაბაა, ქვეყნის დაქცეულ ეკონომიკას ამგვარი მინაწერი უშველის განსავითარებლად? (ასეთი შეკითხვა სხვა დროსაც დასმულა „სრ“-ის ფურცლებზეძ...

ასეა თუ ისე, დემოკრატიულობით მთელ მსოფლიოში სახელგანსმენილ საქართველოს მარტო მინისტრებს კი არა, მოადგილეებსაც უსინდისოდ დიდი, გაუმართლებლად დიდი, თავხედურად დიდი ხელფასები აქვთ. დიდჩინოსნებიც, დიდმოხელეებიც იმიტომ ხომ არ ჰქვიათ ან პირიქით?..

დიახ, ლარებმა „წაიღეს“ ნაცი დიდკაცები და დიდქალები, ან, კვლავ პირიქით — დიდკაცებმა და დიდქალებმა სულ წაიღეს ლარები, ჩვენთვის, საბრალო „პატარებისთვის“, აღარ რჩება აღარაფერი... „თუნდ სული გაგძვრეს, რა მენაღვლება, თავში ქვა იეც და ისა ქმენი“ ხომ არ გამოდის?..

... მარგარეტ მიტჩელის „ქარწაღებულნი“ გამახსენდა, დიდებული რომანი, ამერიკული მხატვრული ლიტერატურის მშვენება და პუბლიკაციის სათაურზეც იმან გამიყვანა — „ლარწაღებულნი“... საბოლოოდ სად მივლენ, ნეტავ, ამნაირი ტვირთით?..

ბერდია ბედოიძე

**რას წერენ ჩვენზე**

# საქართველომ ადგილობრივი წარმოების უპილოტო აპარატი გამოსცადა

საქართველოში გამოსცადეს ადგილობრივი წარმოების უპილოტო საფრენი აპარატი. გამოცდებს ესწრებოდა ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ უპილოტო საფრენი აპარატი გახდება საქართველოსთვის საექსპორტო პროდუქტი.

ახალი უპილოტო საფრენი სისტემა შედგება საფრენი აპარატისგან და დედამიწის სეგმენტისგან, და იგი გამოსცადეს ურთულეს კლიმატურ და რელიეფურ პირობებში, იტყობინება საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

„უპილოტო საფრენი აპარატი უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სისტემაა“, – ნათქვამია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

საქართველოს პრეზიდენტის სიტყვებით, ეს არის პირველი მაღალტექნოლოგიური ქართული პროდუქტი, რომელიც მთლიანად საქართველოში შეიქმნა.

„მისი უპირატესობა არის ის, რომ, როდესაც საზღვარგარეთ ყიდულობ ასეთ რამეს, გამყიდველმა შეიძლება ბოლომდე არ აგიხსნას ტექნოლოგია ან, პირიქით, ტექნოლოგია გააცნოს მტერს, – განაცხადა სააკაშვილმა. – ამას კი ვერავინ ვერავის ვერ გაუზიარებს – ეს უკვე ჩვენია“.

მისი სიტყვებით, ქართული უპილოტო საფრენი აპარატი საქართველოსთვის საექსპორტო პროდუქტი გახდება.

„მთავარია, რომ გარდა სამხედროსი, მას აქვს კიდევ დიდი მნიშვნელობა ინტელექტუალური და ტექნოლოგიის განვითარების თვალსაზრისით“, – განაცხადა სააკაშვილმა.

უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ეს არის საქართველოს პრეზიდენტის მიერ ქართული სამხედრო წარმოების მესამე პრეზენტაცია.





**ტექნიკური დახასიათებანი:**

ფრენის ხანგრძლივობა – 8 საათი.
ფრენის სიმაღლე – 100-3000 მეტრი.
სიჩქარე – 60-160 კილომეტრი საათში.
სასარგებლო ტვირთი – ორკამერიანი ვიდეოპლატფორმა, ფოტოკამერა, თერმული კამერა და ინფრაწითელი კამერა.

მარტში, დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ქართული საბრძოლო ქვეითი ჯარის მანქანის პრეზენტაციიდან, მას „ლაზიკა“ ეწოდება, სააკაშვილმა გამოსცადა ზალპური ცეცხლის ქართული რეაქტიული სისტემა.

### ახალი სისტემა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მონაცემებით, წარმოდგენილი საფრენი აპარატი შეიძლება გამოყენებულ იქნეს რთული საბრძოლო მისიის, აგრეთვე სასაზღვრო პატრულირების, რადიოტექნიკური დაზვერვის, საჰაერო ფოტოგადაღების, სტიქიური უბედურებების მონიტორინგის, რადიაციის კონტროლისა და შემოწმების დროს.

„ეს არის დაზვერვითი თვითმფრინავი, რომელიც გამოიყენება, პრინციპულად, როგორც ქვეითი ნაწილისთვის, ისე არტილერიისთვის. მისი ძირითადი ფუნქციაა – დაზვერვა ბრძოლის ველზე და კოორდინაციების გადმოცემა“, – განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ.

ფრენის მართვა ხორციელდება კომპიუტერის მეშვეობით, საფრენი აპარატის აფრენა კი ხდება პნევმატური კატაპულტის მეშვეობით.

უპილოტო აპარატის შემქმნელები ამბობენ, რომ მას შეუძლია აფრინდეს ნებისმიერი ადგილიდან და დაჯდეს ნებისმიერ რელიეფზე.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, საფრენი აპარატი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, მათ შორის ტემპერატურის მნიშვნელოვანი ცვლილებების დროსაც კი.

დედამიწაზე დაშვების დროს საფრენ აპარატს ეხსნება პარაშუტი და ამავდროულად ჰაერით ივსება უშიშროების ბალიში.

BBC RUSSIAN.com

---

# ძალად ფრანგი

## ქართველი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ვერანაირად ვერ ახერხებს თავისი ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას

მილიარდერი და ოპოზიციური კოალიციის „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი არ აპირებს მიმართოს ქვეყნის პრეზიდენტს თხოვნით, მიანიჭოს მას საქართველო-საფრანგეთის ორმაგი მოქალაქეობა. მიხეილ სააკაშვილის მთავარი ოპონენტის ამ გადაწყვეტილების შესახებ 10 აპრილს ბრიფინგზე განაცხადა კოალიციის პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ. როგორც მან აღნიშნა, „ივანიშვილი არ წავა ამ „ფარისევლურ“ ნაბიჯზე“. ამრიგად, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პერსპექტიული ოპოზიციური პოლიტიკოსი დარჩა ფრანგული პასპორტით, რაც არ აძლევს მას უფლებას, მონაწილეობა მიიღოს პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნებში.

საქართველოს ყველაზე მდიდარი ადამიანი და პლანეტის ყველაზე მდიდარი ქართველი, რომელიც შედის ჟურნალ „ფორბსის“ „ოქროს ასეულში“, გახდა პიროვნება საქართველოს მოქალაქეობის გარეშე შარშან ოქტომბერში, მალე მას შემდეგ, რაც მან განაცხადა თავის მოსვლაზე პოლიტიკაში. ასეთი გადაწყვეტილება ქვეყნის პრეზიდენტმა მიიღო იუსტიციის სამინისტროს ქართული რეესტრის სააგენტოს შესაბამისი წინადადების თანახმად. იმავდროულად საქართველოს პარსპორტი ჩამოართვეს ბიზნესმენის მეუღლეს ეკატერინე ხვედელიძესაც. თუმცა, დეკემბრის ბოლოს თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ივანიშვილების წყვილის ადვოკატების სარჩელი და გააუქმა პრეზიდენტის გადაწყვეტილება მილიარდერის მეუღლესთან დაკავშირებით.

ქვეყნის იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ თავისი პოზიცია განმარტა იმით, რომ 2004 წელს საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ ბიზნესმენმა, რომელიც იმ დროს ფლობდა რუსულ პასპორტს, მიიღო აგრეთვე საფრანგეთის მოქალაქეობა. ეს კი, როგორც უწყებაში განმარტეს, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და იწვევს ქართული პასპორტის გაუქმებას. ამ განმარტებამ მწვავე კრიტიკა გამოიწვია ხელისუფლების ოპონენტებს შორის. საქმე ისაა, რომ საქართველოს მოქალაქეობის გარეშე დარჩენილი ივანიშვილი გამოვიდა რუსეთის მოქალაქეობისგანაც. დეკემბრის ბოლოს კი მილიარდერმა ოფიციალურად მიმართა საქართველოში საფრანგეთის საელჩოს თხოვნით, შეწყვიტონ მისი საფრანგეთის ქვეშევრდომობა. მაგრამ საკითხი ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, ვინაიდან საერთაშორისო კანონმდებლობა არ იძლევა ნებართვას მოქალაქეობის გარეშე დარჩენის შესახებ. ბუდკრული ფრანგული პასპორტი, რომლისგან გათავისუფლებასაც ვერანაირად ვერ ახერხებს მილიარდერი, გახდა სწორედ ის წერტილი, რომელსაც მჭიდროდ ჩაებღაუჭა სამოქალაქო რეესტრის სააგენტო. მან არა მხოლოდ ჩამოართვა მილიარდერს მოქალაქეობა, არამედ უარიც განაცხადა მის აღდგენაზე ნატურალიზაციის გზით, მიუთითა იმავე ფრანგული პასპორტის არსებობაზე. ერთადერთი ხვრელი, რომელსაც სააგენტო აღიარებს და რომლითაც მოუწოდებს ივანიშვილს გამოიყენოს იგი, ეს არის მიმართვა პრეზიდენტისადმი თხოვნით – მიანიჭოს მას ორმაგი მოქალაქეობა. მაგრამ პოლიტიკოსმა დაუშვებლად მიიჩნია, მიმართოს თხოვნით მას, ვისაც იგი დაუნდობლად აკრიტიკებს და მიიჩნევს თავის ოპონენტად.



უნდა აღინიშნოს, რომ მილიარდერ ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის სასარგებლოდ ხმა მისცა საქართველოში გამოკითხულთა 70 პროცენტმა. გამოკითხვა მარტის ბოლოს მოაწყო ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა.

თავის პოზიციას ამ საკითხზე არ მალავენ დასავლეთის ქვეყნების დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებიც, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი. სხვათა შორის, ამ დღეებში საქართველოს ქრისტიან-დემოკრატების ლიდერმა გიორგი თარგამაძემ დააყენა წინადადება, შეიტანონ ცვლილებები კონსტიტუციაში, რომელთა არსიც არის ის, რომ პარლამენტის წევრი შეიძლება იყოს ევროკავშირის ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დაიბადა საქართველოში და ათი წლის განმავლობაში ცხოვრობს ამ ქვეყანაში. ოპოზიციონერებმა ბრალი დასდეს თარგამაძეს ხელისუფლების ინიციატივების გამომჟღავნებაში, ხელისუფლებისა, რომელიც ახლა ეძებს გამოსავალს ამ რთული სიტუაციიდან. ივანიშვილის თანამებრძოლები საუბრობენ კონსტიტუციის გადაკეთების დაუშვებლობის შესახებ ერთი კაცის ინტერესების დასაცავად, დაე თუნდ იგი იყოს მათი ლიდერი და მიაჩნიათ, რომ საქართველოს ლიდერისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

---

## დედამიწის ზურგზე

**ჩინეთი და ფილიპინები სადავო კუნძულის გამო ერთმანეთს წაეკიდნენ**

ჩინეთის ორმა საპატრულო კატარღამ ხელი შეუშალა ფილიპინების მხარეს, დაეპატიმრებინათ ჩინელი მეთევზეები, რომელთა ნავებიც ფილიპინების წყლებში იმყოფებოდნენ კუნძულ ლუსონის მახლობლად. ფილიპინების ხელისუფლებამ გამოიძახა ჩინეთის ელჩი მანილაში, რათა დიპლომატიურად გადაეწყვიტათ კონფლიქტი. ამ კუნძულებზე პრეტენზიას აცხადებს ტაივანიც.

* * *

**აშშ-ის პორნოვარსკვლავები გაერთიანდნენ პორნოგრაფიის აკრძალვის შესახებ წინადადების წინააღმდეგ და მოუწოდეს საჯარო ორგიისკენ**

წინადადებით – აკრძალონ პორნოფილმები – გამოვიდა საპრეზიდენტო რბოლის კანდიდატობიდან გამოსული რესპუბლიკელი რიკ სანტორუმი. ამ განცხადების შემდეგ მან მხოლოდ ერთი პრაიმერიზი მოიგო და წააგო ოთხი. პორნოვარსკვლავებმა მოუწოდეს, სანტორუმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, მოაწყონ მასობრივი საჯარო სქესობრივი აქტი.

* * *

**ვაშინგტონმა გააკრიტიკა რუსეთი ხელისუფლებაში ასადის დარჩენისა და მაგნიტსკის საქმის გამო**

რუსეთი პასუხისმგებელია იმისთვის, რომ სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი კვლავ ხელისუფლებაშია და ქვეყანაში არ წყდება შეტაკებანი, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა. გასულ სამშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა მოსკოვს წაუყენა პრეტენზიები აგრეთვე სერგეი მაგნიტსკის მკვლელობის შესახებ საქმის „არასათანადოდ“ გამოძიების გამო.

* * *

**იაპონელებმა შენიშნეს რუსეთის ორი ილ-38 ესმინეცმზიდ „მეკოს“ თავზე, რომელიც აპირებდა რაკეტა „ინხა-3“-ის ჩამოგდებას**

დაზვერვის თვითმფრინავები აღმოაჩინეს წინა დღით სანიმის რაიონის სანაპიროზე იაპონიის ყველაზე დიდი კუნძულის ჰონსიუს სამხრეთ აღმოსავლეთით, სადაც ამ ხომალდის ბაზაა. ცაში აიჭრა იაპონური გამანადგურებლები, რომლებმაც აიძულეს ილ-38-ები, შეეცვალათ კურსი და წასულიყვნენ ჩრდილოეთისკენ, ნახევარკუნძულ ჰოტოს მიმართულებით.

* * *

**ობამა კრიტიკით დაესხა თავს რესპუბლიკელებს, რომლებიც უარს აცხადებენ გაზარდონ გადასახადები მდიდრებისთვის**

უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში კონგრესს მოუწევს კენჭი უყაროს კანონპროექტს, რომელსაც მილიარდერ ბაფეტის სახელი ეწოდება და რომლის თანახმადაც იმ პირებმა, ვისი შემოსავლებიც წელიწადში ერთ მილიონ დოლარზე მეტია, უნდა გადაიხადონ გადასახადები სულ ცოტა ამ შემოსავლების 30 პროცენტის ოდენობით. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა მოუწოდა თანამოქალაქეებს, მოახდინონ ზემოქმედება რესპუბლიკელებზე კონგრესში.

* * *

**აშშ თანამშრომლობა სხვა ქვეყნებთან კიბერტვირთის საპირისპირო მოქმედებებზე გადააწყდა პრობლემებს**

ერთ-ერთი მათგანი, როგორც ამის შესახებ აღიარა პენტაგონის კიბერსარდლობის დაზვერვის უფროსმა, არის ზოგიერთი მოკავშირის კომპიუტერული სისტემის სუსტი დაცულობა: „არ არის საჭირო, ვეცადოთ შევიჭრათ კარგად დაცულ სისტემაში. თავდაპირველად უნდა შევიჭრათ უფრო ნაკლებად დაცულ სისტემაში და შემდეგ უკვე ვიაროთ მიზნისკენ“.

ძველი სახეები – შეულამაზებლად!

# შავად დარჩება ყორანი...

## ლოთი ქობალია კვლავ იმუქრება



**ხელისუფლების მიერ შექმნილ „ნებაყოფლობით რეზერვს", რასაც ოპოზიცია შეიარაღებულ ბანდფორმირებას უწოდებს, საქართველოს ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი ვახტანგ (ლოთი) ქობალია უკონტროლო დაჯგუფებად არ მიიჩნევს. მისი აზრით, დღეს არც ერთი ფორმირება საქართველოში უკონტროლო არაა და ყველა მათგანი ხელისუფლებას ექვემდებარება. მისივე თქმით, შესაბამისად, მომხდარზე პასუხისმგებელი ხელისუფლებაა.**

ქობალიას განცხადებით, იმ შემთხვევაში დაუპირისპირდება ივანიშვილს, თუ ის შევარდნაძის კლანის აღორძინებას შეეცდება და იმ ძალასთან დადგება, რომელმაც **„პირველსავე დღეს ესროლა გამსახურდიას კანონიერ ხელისუფლებას"**. ქობალია დაპირისპირების ყველანაირ გზაზე საუბრობს.

ლოთი ქობალია:

– „სახალხო ლაშქარი" 1992 წელს შეიქმნა, როდესაც წინააღმდეგობებით სავსე იყო ჩვენი კუთხე. მაშინ უკონტროლობა იყო. ახლა ყველა ფორმირებას აკონტროლებს ხელისუფლება და რაში გამოიყენებს, ეს სხვა საკითხია. მე ძალოვანი სტრუქტურის ყოფილი წარმომადგენელი ვარ და ვერ ვიტყვი ამ ქვეყნის სიძლიერეზე უარს. მე ყოველთვის მინდა, ჩემი ქვეყანა ძლიერი იყოს და ყველა ქართველი იყოს ამისათვის მზად.

**– ამ ადამიანებს თავდაცვის სამინისტროსთან არც კონტრაქტი აქვთ, არც რაიმე ოფიციალური ვალდებულება. არის მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება. თქვენთან რომ მოვიდნენ და გითხრან, უნდა ჩაუდგეთ შეიარაღებულ დაჯგუფებას სათავეში და არ დაგიდონ კონტრაქტი, იქნება თუ არა ეს ლეგიტიმური?**

– რასაც თქვენ ამბობთ, ასეთი ჰყავდა ჯაბას (იგულისხმება „მხედრიონის" ლიდერი ჯაბა იოსელიანი. **ავტ.**). არსად არ ეწერებოდნენ, არც რეგისტრაციას გადიოდნენ და ჰყავდა. ვინც ამას აკონტროლებს, რა აქვს ამაში ჩადებული, ეს მათი საკითხავია. ამას თუ გამოიყენებენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, მაშინ მეც მივესალმები ამას.

**– როგორ ფიქრობთ, შეძლებს თუ არა ეს ძალა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას?**

– ზვიადისტების გარკვეული ნაწილი მე მდებდა ბრალს იმაში, რომ ვერ დავამარცხე რუსეთის იმპერია. გახსოვთ, ალბათ, რომ შევარდნაძე წამოვიდა, ამავე დროს რუსების შეიარაღებული ძალები შემოიყვანეს ჩვენს წინააღმდეგ ე.ი. კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ და ეს ხალხი შევარდნაძის მემკვიდრეები არიან. ეს კონტროლირებადი ხალხია, რა კატეგორიის ხალხია ისიც არ ვიცი, მაგრამ ანზორ ჩხეიძე და ვახტანგ ზარანდია ბანდიტები ან ყაჩაღები არ არიან. ზუგდიდელმა ზუგდიდელს რომ ესროლოს, „ვარიანტი" არ არსებობს. თუმცა, ყველა შემთხვევაში, პასუხი უნდა მოეთხოვოს ხელისუფლებას. ყველა სტრუქტურა უნდა იყოს მიმართული ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ე.ი. ქვეყნის დასაცავად. მაგრამ, თუ ქმნი რაღაც უკონტროლოს, რომ კონტროლიდან გავიდეს ან იარაღი ან რაღაც, ეს არის კატასტროფა. ზარანდიას და ჩხეიძეს არ მგონია ტვინში რაღაც შეუბრუნდეთ და ხალხს ესროლონ, ეს გამორიცხულია. მაგათ იციან, რა მოხდება საპირისპიროდ. ხალხი არავის პატიობს, გამორიცხულია, მაგრამ თუ ეცდებიან, ეს ხალხი საარჩევნოდ გამოიყენონ, დავუშვათ კონტროლის ქვეშ რომ იყოს ამდენი რეზერვისტი, ვალდებულად რომ ჩაათვლევინონ თავი ხელისუფლების წინაშე, შეიძლება ამისათვის უნდოდეთ...

მე ვიცი, რომ ანზორ ჩხეიძე დადის კარდაკარ და აგიტაციას უწევს, რომ წავიდნენ რეზერვში. მე პირადად, არ მიკითხავს, რატომ დადის ის კარდაკარ, აქვს თუ არა მაგის სათანადო რწმუნება ან რა წესდების გარშემო მუშაობს. რისთვის წახვედით-მეთქი ვკითხე და ბათინკებისა და საწვიმარი „კურტკისთვის." ერთი მეც მაჩუქეს. ჩვენი ყოფილი ჯარისკაცი წავიდა და ჩამოგიტანაო „კურტკა". ხალხის საწინააღმდეგო ასეთ რაღაცას თუ ქმნის ხელისუფლება, ის არ უნდა იყოს ხალხის სახელით მოსაუბრე. ყველა შემთხვევაში ხელისუფლება აგებს პასუხს ყველანაირ დანაშაულზე, ყველანაირ მოქმედებაზე.

**– ივანიშვილის პარტიას მიიჩნევთ რუსულ ძალად?**

– რა აგიტაციასაც აკეთებს, მე ვერ ვუყურებ სხვა არხებს და ხელისუფლება რასაც აკეთებს სხვა არხებით, პრორუსულია.

**– თუ ხელისუფლებამ თქვა, რომ ეს არის რუსული ძალა, არის თუ არა შესაძლებელი, რომ ეს ხალხი გამოიყენოს მან ამ ე.წ. რუსული ძალის წინააღმდეგ?**

– ივანიშვილზე პირადად, ვარ კარგი განწყობით, იმდენი სიკეთე გაუკეთებია ხალხისთვის, როგორც მსმენია, ამ კაცს, რომ იმაზე ცუდს ვერ ვიტყვი ვერავითარ შემთხვევაში, მაგრამ მის გვერდითაა ის ხალხი, ვინც დამოუკიდებელ საქართველოს პირველსავე დღეს ესროლა, თავისი ამბიციებიდან გამომდინარე და ხელი შეუწყო შევარდნაძის კლანის აღდგენას და ისევ რუსეთის მფარველობის ქვეშ თავის დახრას, ის ხალხი თუ ვნახე, რასაკვირველია, ძალიან უკურეაქციას მიიღებენ ისინი.

**– ანუ დაუპირისპირდებით?**

– რასაკვირველია დავუპირისპირდები, ბერძენიშვილები ჩვენ ტყვიას გვესროდნენ და აბა, რას ვიზამ?!

**– და რა სახით დაუპირისპირდებით?**

– ყველანაირად.

**– ხომ შეიძლება, რომ იგივე განწყობა ჰქონდეთ, იმ ფორმირებებს, რომლებიც ახლა ყალიბდებიან?**

– რასაკვირველია, ასეთი განწყობა ექნებათ, აბა, რა ექნებათ. კი, ბატონო, ეს ჩემთვის მისაღებია აბსოლუტურად.

**– რა არის მისაღები? ამ შემთხვევაში მივდივართ დაპირისპირებამდე...**

– დაპირისპირებამდე მივდივართ, მაგრამ დაპირისპირება კი არა, ტყვია გვესროლეს და თუ იმ შევარდნაძის კლანის აღორძინებას ფიქრობს, არ გამოუვა. ივანიშვილი მარტო რომ მოსულიყო, არანაირ წინააღმდეგობას არ წააწყდებოდა და პირდაპირ გაივლიდა გრიალ-გრიალით.

**ელისო ჯანაშია,**
**http://tspress.ge**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
29-62-77;
599 32-85-76.

გამოფენა



# კახეთის უკეთ წარმოჩენის ჟამი

**ტურიზმი საქართველოს მთავრობის ეკონომიური განვითარების პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება რომაა, საყოველთაოდაა ცნობილი. ამიტომაცაა, რომ ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ნებისმიერი გამოფენა საზოგადოებრიობის, სპეციალისტების ცხოველ ინტერესს იწვევს.**

ასე იყო ამჯერადაც, როცა აპრილის პირველი დეკადის მიწურულს საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიას" მე-11 პავილიონში ერთდროულად ორი – მე-14 საერთაშორისო ტურისტული და საქმიანი ტურიზმის, შეხვედრებისა და კონფერენციების პირველი საერთაშორისო გამოფენა გაიმართა.



გამოფენაში, რომელიც „ექსპო-ჯორჯიასთან" ერთობლივად საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტომ, თბილისის მერიამ და ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტომ (USAID) მოაწყვეს, ადგილობრივ კომპანიებთან ერთად ასევე მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, თურქეთის, გერმანიის, უკრაინის, ტაილანდისა და სომხეთის ტურისტული ფირმები. 45 საგამოფენო სტენდზე წარმოდგენილი იყო 90 ტურისტული კომპანიისა და დასასვენებელი კომპლექსის შეთავაზებები, ტუროპერატორთა მრავალფეროვანი შეთავაზებები: კერძოდ, კულტურული, ისტორიული და ღვინოს ტურები, ექსტრემალური და სათავგადასავლო პროგრამები, ასევე დაახლოებით ასი ხალხური რეწვისა და სუვენირების საწარმო.



ცალკე აღსანიშნავია გამოფენის საქართველოს ნაწილი, რომელიც სხვადასხვა მხარის სასტუმროებით, პანსიონატებით, დასასვენებელი სახლებითა და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ცენტრებით იყო წარმოდგენილი.



უნდა ითქვას, რომ კახეთი, სადაც უახლოეს მომავალში დიდმასშტაბიანი სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები ჩატარდება, რის შემდეგ საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე ტურისტებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება, გამოფენაზე ცალკე, ახალი ლოგოთი იყო წარმოდგენილი, ხოლო დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ რეგიონში დღემდე უკვე განხორციელებულ, ასევე მიმდინარე და სამომავლო პროექტებს, ახალ ტურისტულ პროდუქტებსა და ზაფხულის სეზონზე დაგეგმილ ღონისძიებათა ჩამონათვალსა და შინაარსს სტენდებზე გაცნობოდნენ.

ცალკე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კახეთის კუთხეში მსურველებს შეეძლოთ ქართული ღვინის დაგემოვნება, თანაც სხვადასხვა გათამაშებაში მონაწილეობის მიღება, რომელთა გამარჯვებულებმა სამახსოვრო საჩუქრები მიიღეს. გარდა ამისა, დამთვალიერებლებს შეეძლოთ უნიკალური ხელნაკეთი სუვენირების შეძენაც.

ტურისტული გამოფენის ფარგლებში ჩატარდა საქმიანი ტურიზმის, შეხვედრებისა და კონფერენციების პირველი საერთაშორისო გამოფენაც, რომლის დამთვალიერებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ პრაქტიკული ღონისძიებების ეფექტიანად ორგანიზების ყველა წვრილმანს გაცნობოდნენ. მსურველებს ასევე ხელსაყრელ პარტნიორებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების, საქართველოს ტურისტული პოტენციალის გაცნობისა და ქვეყანაში საზაფხულო დასვენების დაგეგმვის კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ. ამასთან, გამოფენის პარალელურად ტურისტული სფეროს პროფესიონალთათვის სხვადასხვა ღონისძიება გაიმართა. კერძოდ, USAID-ის პროექტის ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის (EPI) ორგანიზატორობით მოეწყო „საქმიანი ტურიზმის კონფერენცია", ხოლო თბილისის მერიამ „შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის გაძლიერება საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. ტრადიციული რეწვა – ერთიანი განვითარებისთვის" ჩაატარა, ბოლოს კი საყიდლების საქმიანი ტური გამართა.

**ოთარ ტურაბელიძე.**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტოები**

◉ ჭადრაკი

# მთავარი პრიზი — ზარქუას



**შარშან მოჭადრაკე ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატში ოქროს მედალი სოხუმელმა დავით ზარქუამ მოიპოვა. შემდეგ უცხოეთში გამართულ რამდენიმე ტურნირშიც ისახელა თავი, წლეულს კი საერთაშორისო ოსტატის წოდებაც მიენიჭა და რეიტინგიც საგრძნობლად გაიუმჯობესა.** ამას წინათ ქართველი მოჭადრაკე აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს (მინისტრი დალი ხომერიკი) სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველოს (უფროსი ბეჟან ქვილითაია) დაფინანსებით თურქულ კაპრამან მარასის საერთაშორისო ტურნირზე იმყოფებოდა ოთხ თანამემამულესთან (ალექსანდრე ყაშაშვილი, მალხაზ სულაშვილი, კახა შალამბერიძე, ბაჩანა მორჩიაშვილი) ერთად. მე-8 ტურში ზარქუამ შავი ფიგურებით ირანელი საერთაშორისო ოსტატი დარბან მორტეზა დაამარცხა და 6,5 ქულით დაწინაურდა. ამდენივე ქულა მოაგროვა ყაშაშვილმაც, მაგრამ საქართველოს ჩემპიონს დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩებოდა. ამიტომაც დიდ ინტერესს იწვევდა მათი დუელი ბოლო ტურში. მეტოქეებს დაფაზე მდგომარეობა არ გაუმწვავებიათ და ყაიმზე შეთანხმდნენ. მთავარი პრიზი ზარქუას ერგო. მეორე იყო ყაშაშვილი. 6,5 ქულით მესამე ადგილი მორტეზამ დაიკავა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეოთხე-მეხუთე ადგილები შალამბერიძემ და მორჩიაშვილმა გაიყვეს. სულაშვილი 6 ქულით მე-7 ადგილს დასჯერდა.

**ლაშა დიდია**

# ფავორიტებსაც აჯობა



**გერმანულ ლაიციზაუში (შტუტგარტის ოლქი) დამთავრდა მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრების რეიტინგფავორიტებად 2700-იანთა კლუბის წევრებს — ფრანგ ეტიენ ბაკროს (2706) და მასპინძელ არკადი ნაიდიჩს (2702) მიიჩნევდნენ.** მათ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს ქართველმა დიდოსტატებმა — კონსტანტინე შანავამ (2586) და საქართველოს ექსჩემპიონმა თორნიკე სანიკიძემ (2549). მე-8 ტურში შანავამ თეთრი ფიგურებით სწორედ ბაკრო დაამარცხა და ლიდერობა განიმტკიცა ისევე, როგორც ფრანგმა ანდრეი ისტრატესკუმ. ბოლო ტურში მეწინავეთა დაპირისპირება ზავით დამთავრდა, რამაც პირველობა შანავას (7,5 ქულა) არგუნა, რადგან ისტრატესკუზე უკეთესი კოეფიციენტი აღმოაჩნდა. 7 ქულით მე-3 ადგილზე ბაკრო, მეთორმეტეზე კი ნაიდიჩი გავიდა. ამდენივე ქულით მე-14 იყო სანიკიძე. გერმანიის სახელით მოასპარეზე დავით ბარამიძემ 6,5 ქულით მე-20 ადგილი დაიკავა. კიდევ ერთმა ჩვენებურმა დავით ლობჟანიძემასპარეზობა 5,5 ქულით დაასრულა.

**გივი გაგუა**

◉ ფეხბურთი

# ასეთია მათე-ბიჭი

**ქრონიკული ტრავმებით გატანჯულმა მათე ვაწაძემ თბილისის „დინამოს“ დატოვების შემდეგ, ბევრი იარა თუ ცოტა, ისევ სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა და უკვე საევროპედ შემართული გორის „დილას“ ღირსებას იცავს. მერე როგორ!**

დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში პრესტიჟული ჯილდოს ამჟამინდელი მფლობელი „გაგრა“ მეტოქის ხორვატი მეკარის სკენდერის ბავშვური შეცდომის შედეგად ნიგერიელმა ლეგიონერმა ჯერემიამ დებიუტშივე დააწინაურა, მაგრამ ეს იყო და ეს — დროის დარჩენილ მონაკვეთში დევნილთა კლუბი ერთხელაც აღარ დამუქრებია შინაგან საქმეთა სამინისტროს მზრუნველობით ფეხზე დაყენებულ გუნდს.



სამაგიეროდ, ასეთი ფსიქოლოგიური დარტყმის შემდეგ, თემურ შალამბერიძის შეგირდები მოეგნენ თანდათან გონს და სათამაშო უპირატესობასაც დაეუფლნენ, კვანძის გახსნაში კი გადამწყვეტი როლი სწორედ მათე ვაწაძემ შეასრულა, რომელმაც მეორე ტაიმში ხოჯავასა და ახალკაცის ფლანგური ჩაწოდებები ზუსტი თავური დარტყმებით „დუბლად“ აქცია — 2:1, კიდევ ერთ ეპიზოდში კი, ასევე „მეორე სართულიდან“, ბურთი ძელს მოახვედრა (სხვათა შორის, შესვენებამდე გაგრელები ძელმა ლექვთაძის გასროლის შემდეგაც იხსნა).

**„ზესტაფონი“ — „მეტალურგი“ 1:1. საპასუხო შეხვედრები 18 აპრილს გაიმართება.**

**გიორგი შოთაძე**

◉ სამბო

# ბუქარესტიდან — მდიდრული ალაფით



**ქართველმა სამბისტებმა კარგა ხანია, საერთაშორისო შეჯიბრებებიდან უხვი ნადავლით დაბრუნებას შეგვაჩვიეს. ახლაც რუმინეთის დედაქალაქში ჭაბუკებისა და ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე 20 მოჭიდავე გაემგზავრა და იქიდან 16 მედლით დაბრუნდა.**

ჭაბუკებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ომარ ნიაზაშვილი (70 კგ), უშანგი მარგიანი (75) და ზაურ მამარდაშვილი (87). ფინალური პაექრობები დათმეს და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს იოსებ მელაძემ (52), ზაზა როსტომაშვილმა (60), ლევან კირკიტაშვილმა (65) და გიორგი ლაზუაშვილმა (+87), ხოლო ლერი ბედინაძე (48) და ჯონი ჭითანავა (81) მესამედ ადგილებზე გავიდნენ. საგულისხმოა, რომ გუნდურში ჭაბუკთა ნაკრებმა 48 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე გასულ რუსეთს ქულით აჯობა.

ახალგაზრდებში ოქროს მედლები შმაგი ლაგაზაურმა (62) და ამირან იანვარაშვილმა (82) დაიმსახურეს. ავთანდილ მზარეულიშვილს (48), მიხეილ ჩოხელსა (74) და უშანგი კოკაურს (+100) მეორე ადგილები ხვდათ, ხოლო გიორგი მერაბიშვილი (57) და ალექსანდრე მილდიანი (90) ბრინჯაოს დასჯერდნენ. გუნდურში 37 ქულით ჩვენები მეორე ადგილზე გავიდნენ, პირველობა 60 ქულით რუსებს ერგოთ.

**ლექსო ცინცაძე**

◉ სიახლე

# ბიკინის ნაცვლად — შორტები და კრივი... ჰიჯაბებით

**მუსლიმანური ლობის ზეწოლით ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ლონდონის ოლიმპიადაზე სპორტული ტანსაცმლის უფრო მორიდებული სტანდარტის შემოღება გადაწყვიტა.**

პლაჟის ფრენბურთი, უდავოდ, ერთ-ერთი ყველაზე ტელეგენური სპორტის სახეობაა, რომლის ტრიუმფი, უწინარესად, მშვენიერ სპორტსმენ ქალთა კოხტა, ლამაზმა ტანებმა განაპირობეს. სპორტის ეს პოპულარული სახეობა საფრანგეთის ნუდისტურ პლაჟზე დიდი ხნის წინათ, ჩაისახა, როცა ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის (FIVB) აღიარება მან მხოლოდ 1986 წელს მიიღო.





მისი ოლიმპიური დებიუტი 1996 წელს, ატლანტის თამაშებზე შედგა, 12 წლის შემდეგ პლაჟის ფრენბურთი მძლავრ ინდუსტრიად გადაიქცა; ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის Swatch FIVB Beach Volley World Toor ტურნირების სერიის საპრიზო ფონდმა 8 მილიონ დოლარს გადააჭარბა. პლაჟის ფრენბურთის დიდი პოპულარობის მიზეზად კი სპორტული ჟურნალისტები საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის რუბენ აკოსტას მიერ ქალების სავალდებულო ფორმად ბიკინის შემოღებას ასახელებენ. ტელევიზიასა და ინტერნეტში სექსუალური რევოლუციის პირობებში ეს ნამდვილად მომგებიანი ნაბიჯი იყო. პლაჟის ფრენბურთი მხოლოდ არაბულ ქვეყნებში აკრძალეს, როგორც სპორტის გარყვნილი სახეობა.

მაგრამ ოლიმპიადა-2012-ის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე FIVB-ის ხელმძღვანელობა, როგორც იქნა, დათანხმდა სპორტული ფორმის სტანდარტების შეცვლას. ლონდონის თამაშებზე პლაჟის ფრენბურთის მოთამაშე ქალებს არა მარტო ბიკინებით, არამედ შორტებით გამოსვლაც შეეძლებათ, რომელთა სიგრძე მუხლს ზევით 3 სანტიმეტრი უნდა იყოს. წელზევით სხეულის დაფარვა კი ფრენბურთელებს უკვე მკლავებიანი მაისურებითაც ნებადართული აქვთ.

თუმცა ჟურნალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ FIVB-ს მესვეურთა ორთოდოქსული მუსლიმანური ქვეყნების მიმართ ამ „რევერანსს“ მათზე მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, რადგან იქაური სპორტის ხელმძღვანელები კვლავაც მოითხოვენ სპორტულ ფორმად დამოკლებული ჯილბაბის აღიარებას, რომელიც სხეულის ფორმების შემნიღბავ ფართო კაბას წარმოადგენს. ასე რომ, შორტებზე ლაპარაკიც არ არის!

ამდენად, სპორტის ამ სახეობის ბედი მუსლიმანურ ქვეყნებში ერთგვარად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, ამიტომ, ახლა საქმე თავად სპორტსმენ ქალებზეა, რომლებიც არ უნდა აყვნენ FIVB-ის, ცოტა არ იყოს, ზედმეტად ტოლერანტულ ხელმძღვანელობას.

გარდა პლაჟის ფრენბურთისა და ფეხბურთისა, ფორმის რევოლუციურ ცვლილებებს, კრივიც განიცდის. წლეულს ოლიმპიადაზე სტარტს აიღებს კრივის ქალური ნაირსახეობა. სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციამ განაცხადა, რომ მზად არის, ნება დართოს მუსლიმანური ქვეყნების სპორტსმენ ქალებს შეჯიბრზე სრულიად ისლამური სამოსელით გამოვიდნენ, ოღონდ ორი პირობით. პირველი ისაა, რომ სახე უნდა გამოაჩინონ, რომ მსაჯებმა დაინახონ, თუ სად მოხვდათ დარტყმა. მეორეც ის, რომ სამოსელის ქვეშ მათ საგანგებო სამკერდე ჯავშანი უნდა ეკეთოთ, რათა მკერდი დარტყმებისგან დაიცვან. ამასთან დაკავშირებით ავღანელმა მოკრივე ქალებმა უკვე განაცხადეს, რომ შეჯიბრზე კრივის მუზარადზე გადაცმული ჰიჯაბებით იასპარეზებენ.

**ირმა ირემაშვილი**

◉ ინტერნეტიდან

## ოლიმპიური ცეცხლი 10 მაისს აინთება

**როგორც Reuter იუწყება, ლონდონში ოლიმპიური თამაშების ცეცხლის ესტაფეტას დაიწყებს ბერძენი მოცურავე სპიროს გიანნიოტისი. ცეცხლს საბერძნეთის პროვინციაში-ოლიმპია დაანთებენ 10 მაისს. მსოფლიო ჩემპიონი ღია წყალზე ცურვაში სპიროს**



**გიანნიოტისი ჩირაღდანს ქურუმად გადაცმული მსახიობი ქალის ხელიდან მიიღებს. ცეცხლი, სანამ მას ლონდონის ოლიმპიადის ორგანიზატორებს გადასცემენ, შემოივლის საბერძნეთს, მოგზაურობა დამთავრდება ათენის სტადიონზე, სადაც 1896 წელს გაიმართა თანამედროვე პირველი ოლიმპიადა.**

გიანნიოტისი დიდ ბრიტანეთში დაბადებული ბერძენია, რაც თავისებური სიმბოლოა, რომ სწორედ ამ ქვეყანაში ტარდება ოლიმპიადა.

საბერძნეთში მოგზაურობის ბოლო ეტაპზე ჩირაღდანს წაიღებენ ძალოსანი პიროს დიმასი და ტანმოვარჯიშე ლი ნინი. 2008 წელს ოლიმპიური ცეცხლი პეკინში რომ აანთო. შეგახსენებთ, რომ XXX ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ლონდონში 27 ივლისს დაიწყება.

## ნამდვილად დიდი ჩოგბურთი

**ის 14 ივლისს ფეხბურთის ცნობილ სტადიონზე „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართება და ერთმანეთს დაუპირისპირდება თანამედროვე ჩოგბურთის ორი ვარსკვლავი — სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი და ესპანელი რაფაელ ნადალი — ჩოგბურთის სამყაროში პირველ და მეორე ნომრად რომ არიან ცნობილნი. ისინი გამართავენ საგამოფენო მატჩს მადრიდის „რეალის“ საშინაო სტადიონზე. მოელიან, რომ ორთაბრძოლას დაესწრება 80 ათასზე მეტი გულშემატკივარი.**

პირველი მიღწევა, გინესის რეკორდების წიგნში რომ მოხვდა, იყო 2010 წლის 8 ივლისს ბრიუსელში — ბელგიელი კიმ კლიისტერსისა და ამერიკელი სერენა უილიამსის სანახაობრივი მატჩი — 35681 მაყურებელი.



მთელი შემოსული ფული გადაეცემა ნადალისა და „რეალის“ საქველმოქმედო ფონდებს.

# ბილეთები მთლიანად გაყიდულია





**ფეხბურთში 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ნაწილის მატჩების ყველა ბილეთი გაყიდულია, — განაცხადა უეფას საოპერატორო დირექტორმა მარტინ კალენმა. თანაც უკრაინა-პოლონეთის ერთობლივმა ტურნირმა გულშემატკივრების მხრიდან ინტერესის ყველა რეკორდი დაამხო — მხოლოდ შემოსული განაცხადი 12 მილიონზე მეტი იყო.**

თავისუფალი ადგილი არ იქნება არც ერთ სტადიონზე. გვაქვს ციფრები, რომლებიც მოწმობენ, რომ ჩემპიონატის ყველა ბილეთი გაყიდულია. მასპინძლებთან ერთად განსაკუთრებით აქტიურები იყვნენ ინგლისის, ნიდერლანდებისა და შვედეთის გულშემატკივრები, რომლებსაც შეხვდათ ყველაზე მეტი ბილეთი კონტინენტის პირველობის მომავალ მატჩებზე.

ყველა, ვინც ბილეთები შეიძინა, მათ 10 მაისის შემდეგ ფოსტით მიიღებენ.

## ◉ ჩვენი კარაბადინი

### ხალებთან დაკავშირებით იყავით ფრთხილად!

**მაქვს ძალიან ბევრი ხალი. რომელი მათგანია ყველაზე სახიფათო: დიდები თუ პატარები, ღია ფერისა თუ მუქი? და შეიძლება თუ არა, ოჯახურ პირობებში ხალის მოშორება?**

**თეონა ბ. გურჯაანიდან**

**გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი მელიქიძე:**

— საბედნიეროდ, ყველა ხალი როდია პოტენციურად საშიში, თუმცა უმჯობესია საეჭვო ხალების დროულად მოშორება. ეს დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ უვნებელი წერტილის გადაქცევა ავთვისებიან სიმსივნედ. ლაქის თავდაპირველ ფერისა და მოცულობას მნიშვნელობა არა აქვს. საგანგაშო სიმპტომებს განეკუთვნება ფერის, მოცულობის, ფორმის ან კონტურების შეცვლა. ასევე არ არის საჭირო დავაყოვნოთ იმ ხალების მოშორება, რომლებიც მუდმივად ეხახუნებიან ტანსაცმელს.



თავად რომ გავუსწოროთ ხალებს, არ შეიძლება — ამან შეიძლება გააქტიუროს მათი ზრდა. ჯერ აუცილებელია მივიღოთ კონსულტაცია ონკოდერმატოლოგისგან, რომელიც გამოიტანს გადაწყვეტილებას უშიშროებისა და ახალწარმონაქმნის თავიდან მოშორების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ იქნება უკეთესი ამის გაკეთება.

### ქვების გადასაყრელად

**ამ ცოტა ხნის წინათ ლითოთერაპია გამიკეთეს. ახლა თირკმელებში ქვები აღარ მაქვს. როგორ გავაკეთო ისე, რომ მომავალშიც აღარ გამიჩნდეს ისინი?**

**თენგიზ მ. ოზურგეთიდან**

**გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი რობერტ ახალაძე:**

— ქვების განმეორებით გაჩენის თავიდან აცილებაში გვეხმარება დიეტა, რომელიც გაჯერებულია ვიტამინებითა და მინერალებით. რაციონი აუცილებლად მრავალფეროვანი უნდა იყოს — შარდკენჭოვანი დაავადების დროს ძალიან საზიანოა მონოტონური კვება. საკვების მიღება არ უნდა მოხდეს დღეში 3-4-ზე იშვიათად, პატარ-პატარა ულუფებით. ვახშმობა კი — მაქსიმუმ 1,5-2 საათით ადრე დაძინებამდე. ამ დროს ბევრი ჭამა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ცხოვრების აქტიური წესი. სასარგებლოა სამკურნალო ტანვარჯიში, ფეხით ხანგრძლივი სეირნობა, ცურვა, წრთობა, ერთი სიტყვით, ნებისმიერი აქტიური ვარჯიშები.

### ცეკვები საუზმის წინ, ცეკვები სადილის წინ

**ვერ ვიტან ფიტნესს — მოსაწყენია ასჯერ შეასრულო ერთი და იგივე მოძრაობა. არც აუზი მიყვარს: მე გრძელი თმები მაქვს, მერე ერთი წამება უნდა გაიარო, სანამ გაიშრობ მათ. აი, ცეკვებს კი ვაღმერთებ. მინდოდა გამეგო: შეუძლიათ ცეკვებს შეცვალონ სპორტული დატვირთვები? სასარგებლოა ცეკვები ჯანმრთელობისთვის?**

**ნინო ბ. ყაზბეგიდან**

**გვიპასუხებს ექიმი-თერაპევტი ეთერ გვაზავა:**

— ქორეოგრაფია აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემების მუშაობას, ზრდის იმუნიტეტს, აუმჯობესებს განწყობილებას, გვიხსნის დაღლილობას. მეცნიერთა გამოკვლევებმა დაადასტურეს ცეკვების სარგებლიანობა გულის იშემიური დაავადებების რისკის შემცირებაში, სისხლის წნევის დაწევასა და ნორმალური წნევის შენარჩუნებაში. ამას გარდა, რიტმული მოძრაობები ამაგრებენ ძვლებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხანდაზმულ ასაკში, როდესაც ოსტეოპოროზისა და მოტეხილობის რისკი მკვეთრად იზრდება, განსაკუთრებით ქალებში. მოცეკვავეები იშვიათად ავადდებიან გაციებითი ავადმყოფობებით, ბრონქიტებით, ასთმითაც კი. ცეკვებს გამოჰყავხართ დეპრესიიდან, ავითარებენ მოძრაობის კოორდინაციას და რიტმის გრძნობას, ზრდიან კუნთოვან ტონუსს. ამიტომ იცეკვეთ, გეთაყვა, ეს თქვენი ჯანმრთელობაა!

### სვით, ხალხო, რძე!

**მოვისმინეთ, რომ ხანდაზმულ ასაკში რძის პროდუქტების გადაჭარბებული მიღება საზიანოა ჯანმრთელობისთვის. ნუთუ ეს სიმართლეა?**

**ანჟელინა თ. ზესტაფონიდან**

**გვიპასუხებს ექიმი თერაპევტი სულხან გოგოლაძე:**

— ამგვარ შიშს არანაირი საფუძველი არ გააჩნია. გამოკვლევების მონაცემების თანახმად, კალციუმის საშუალო მოხმარება შეადგენს 616 მილიგრამს მამაკაცებში და 490 მილიგრამს ქალებში, ესე იგი ამ მიკროელემენტის სადღეღამისო მოთხოვნების ნახევარზე ნაკლებს, მოთხოვნები კი 1200 მილიგრამია.

ამ დროს სწორედ საკვებ კალციუმს ითვისებს ყველაზე უკეთ ორგანიზმი და თავიდან გვაცილებს ოსტეოპოროზის, გულსისხლძარღვთა პათოლოგიების და მთელი რიგი სხვა დაავადების განვითარებისაგან, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია ხანდაზმული ასაკის ადამიანებისთვის. ამიტომ რძის პროდუქტებზე უარის თქმა არ ღირს.

### რატომ დაირღვა ციკლი?

**ადრე თვიური იყო, როგორც საათი, ახლა კი რაღაც უცნაური რამ ხდება: ციკლი დახტის, გამოყოფა გრძელდება 10 დღემდე, ზოგჯერ უფრო დიდხანსაც. რა უნდა ვქნა? მე 24 წლისა ვარ. კლიმაქსამდე ჯერ კიდევ, თითქოს, შორია...**

**ნანა, ხაშურიდან**

**გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მანანა კირთაძე:**

— მენსტრუალური ციკლის დარღვევის თავიდან აცილება დამოკიდებულია მის გამომწვევ მიზეზებზე. შინაგანი ორგანოების გინეკოლოგიური და სისტემური დაავადებანი უწინარეს ყოვლისა მოითხოვენ მკურნალობას. ჰორმონალური დარღვევის კორექციისთვის იყენებენ მედიკამენტებს, მათ შორის ჰორმონალურ პრეპარატებს. ამას გარდა, ექიმმა შეიძლება გირჩიოს შეცვალო ცხოვრების პირობები, დაჯდე დიეტაზე, დაიწყო დამამშვიდებელი საშუალებების მიღება, ხომ ცნობილია, რომ ზოგიერთი წამლის მიღებამაც შეიძლება გამოიწვიოს ციკლის დარღვევის პროვოცირება. თუ უხვი თვიურები დაკავშირებულია საშვილოსნოშიდა სპირალის გამოყენებასთან, მოგიწევთ შეცვალოთ დაფეხმძიმების თავიდან აცილების მეთოდი.

### სიმხნევისათვის!

**დედაჩემმა — პენსიონერმა გადაწყვიტა გაიკაჟოს სხეული. და ახლა ყოველდღე ღებულობს ცივ აბაზანებს. მე ეს ძალიან მაღელვებს — იმას მაღალი წნევა აქვს! ამგვარ გაკაჟებას თუ აქვს საწინააღმდეგო მაჩვენებლები?**

**თამუნა გიორგობიანი, კასპიდან.**

**გვიპასუხებს ექიმი ფიზიოთერაპევტი ლიანა მჭედლიშვილი:**



— ძალიან ცივი აბაზანები (28-20 გრადუსი ცელსიუსით), განსაკუთრებით თუ მათ ღებულობენ სისტემატურად, ზრდის შრომისუნარიანობას, გვანიჭებს სიმხნევეს, გვიუმჯობესებს განწყობილებას, აძლიერებს გულის შეკუმშვებს, ზრდის ჰემაგლობინს. აბაზანები ასევე სტიმულს აძლევს ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემას, აუმჯობესებს სისხლის მიწოდებას და კუნთებს გვინარჩუნებს ტონუსში.

მაგრამ იმისთვის, რომ წრთობამ ზიანი არ მოგვიტანოს, ეს პროცედურები უნდა იყოს ძალიან ხანმოკლე — 30 წამიდან 2 წუთამდე (მეტი არა). შემდეგ კი საჭიროა პირსახოცით ძლიერი დაზელვა, მაგრამ იმათ, ვინც დასუსტებულია, ჰიპერტონიით არიან დაავადებული, აწუხებთ გულის დაავადებანი ან კუჭ-ნაწლავთა მოშლილობა, უმჯობესია თავი აარიდონ ცივ აბაზანებს.

ЗДОРОВЬЕ

## ◉ ჰოი, დედანო!..

# „დედას ვუყვარვართ შვილები..."

**დოდო კვერნაძე და ლუალი კოკაია... პირველი ჩემი სიყრმის მეგობრის დედაა, მეორე — ჩემი მშობელი. ორივე კი თავისი დროის თბილისის ულამაზეს მანდილოსანთაგანნი იყვნენ...**

იმ თბილისისა, რომელიც ლამაზი გოგონების ნაკლებობას არასოდეს უჩიოდა, მაგრამ ის, 50-60-იანი წლების ეპოქა, მაინც სხვა პეწისა და სილამაზის, სხვა, დღევანდელისგან განსხვავებული სტანდარტებისა იყო. მაშინ, მართალია სილამაზის კონკურსები არ იმართებოდა და არც ლამის დედიშობილანი დატანტალებდნენ, მაგრამ საზოგადოებამ მაინც ზეპირად იცოდა მაშინდელი ფერიების სახელები. და არა მხოლოდ იმათი, რომელთა სილამაზეც, მათივე პროფესიების გამო, უფრო რეკლამირებული იყო და, აქედან გამომდინარე, სრულიად დამსახურებულად ითვლებოდნენ იმდროინდელი სილამაზის ეტალონებად, არამედ იმათიც, ვინც ოფიციალურად (თუ შეიძლება ასე ითქვას) აღიარებულ პრინცესა-დედოფლებში არ მოიაზრებოდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, სილამაზეში ტოლს არ უდებდნენ არავის — და ეს ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე...



ლუალი კოკაია



დოდო კვერნაძე

დოდო დეიდა, ჩვენი დოდო ექიმი, ან უბრალოდ „ნოევნა", ასე ვეძახდით ამ ულამაზეს მანდილოსანს პაატა და თემურ დვალიშვილების საძმაკაცოში, რომელთა შვილები დოდო ექიმის ხელში „გამოიჭყლიტნენ" და დიდი მადლობა მას ამ შეუფასებელი ამაგისთვის...

ლუალი — ამ უცნაური სახელის გამოთქმა ბევრს უჭირდა ჩემი და ჩემი ძმის — კახა მხეიძის საძმაკაცოდან — ამიტომ უბრალოდ ლალი დეიდას, ან კიდევ უფრო მარტივად, ლალის ეძახდნენ ისინი, ვისთანაც დედაშვილობასთან ერთად, მეგობრობაც აკავშირებდა დედაჩემს...

ორივემ ქართული ტრადიციული ოჯახები შექმნა; ორივენი ბოჰემური ცხოვრების მოყვარული, იმ დროინდელი თბილისის ლომბიჭების მეუღლეები გახდნენ. ლომბიჭებისა, რომლებმაც ვაჟკაცი კაცების სახელიც დაიმკვიდრეს ქალაქში და წარმატებებსაც მიაღწიეს თავთავიანთ პროფესიებში — ჯუმბერ დვალიშვილმა (რომელიც კაი ხანია გარდაიცვალა, ღმერთმა აცხონოს) მედიცინაში, ხოლო მამაჩემი, ნუგზარ მხეიძე, თბილისის გაზიფიკაციის ერთ-ერთი პიონერი, დღესაც (ღმერთმა ჯანი და დიდი დღე მისცეს) საყვარელ საქმეს ემსახურება...

ორივენი, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, „გიჟი დედები" იყვნენ;

ორივენი შეუბრალებლად გაამწარა წუთისოფელმა — დოდო კვერნაძე უფროსი ვაჟის სიკვდილმა მოტეხა საბოლოოდ, ხოლო ლუალი კოკაია — შვილიშვილისამ...

12 აპრილს დოდო დეიდა 80 წლისა გახდება (ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს!), ხოლო 13 აპრილს დედაჩემი, რომელიც მესამე წელიწადია საყვარელი შვილიშვილის გვერდით განისვენებს (ღმერთმა აცხონოს), გახდებოდა 77 წლისა ...

გამიგონია, ცოცხალი დედა შვილზეა გადაგებული, მიცვალებული კი ზეციდან ლოცულობსო მასზე და მისთვის. ჰო, ასე ამბობენ...

**დათო მხეიძე**

## განცხადება

**2012 წლის 1 მაისს დღის 11 საათზე (მესამედ) დანიშნულია სააქციო საზოგადოება „ყვარელის" აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**

1) 2011 წლის წლიური ბალანსის განხილვა.
2) სხვადასხვა საკითხები.

**სააქციო საზოგადოება „ყვარელის" ადმინისტრაციის მისამართი: ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. №72.**

## არბიტრაჟის უწყება (შეტყობინება)

## საქმე №4-2012

ი.ბ.ა. „**ქვეში-2008"-ის თავმჯდომარეს იოსებ კიკნაძეს პ/ნ 01008032766, თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, 3 მ/რ, I კვ., კორპუსი 14, ბინა №21,** გიბარებთ მოპასუხის სახით **საარბიტრაჟო სხდომაზე 2012 წლის 1 მაისს, 15 საათზე**, საქმეზე **ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას"** საარბიტრაჟო სარჩელის გამო **შპს „პლანეტას" და სხვათა** მიმართ, თანხის დაკისრებისა და ქონების რეალიზაციის შესახებ, შემდეგ მისამართზე: ***ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. №106.***

**გამოუცხადებლობის შედეგები**

„არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-16 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ საქმის განხილვაზე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა მხარე, რომელიც გაფრთხილებული იყო ამ მუხლით დადგენილი წესით და არბიტრაჟისათვის არ უცნობებია გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ, ასევე არ წარუდგენია თავისი პოზიცია და მტკიცებულებები, არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

## განცხადება

**სს „ტრანსმშენის" დირექტორატი იწვევს აქციონერთა მორიგ საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2012 წლის 7 მაისს დღის 11 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. №2, მესამე სართული.**

**სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2012 წლის 6 აპრილი.**

**დღის წესრიგი:**

1. 2011 წლის წლიური ანგარიშის დამტკიცება;
2. 2012 წლისათვის აუდიტორის არჩევა;
3. წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა;
5. სამეთვალყურეო საბჭოს შრომის ანაზღაურების შესახებ;
6. სხვადასხვა.

სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების რეკომენდაციაა, რომ აქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში აღნიშნული საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

**აქციონერებს საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლების შემოწმება შეუძლიათ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან — სს „კავკასრეესტრი", ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 74 ა, ტელ: 2-220 718, 2 251 876.**

**სს „ტრანსმშენის" მმართველი**
**დირექტორი თ. კოტიშაძე**

## რწმენის გზა

# ობერამმერჰაუს „ქრისტეს ვნებანი“

**შექსპირის ცნობილი თქმის პერიფრაზით, მთელი სამყარო — თეატრია, ყველა კაცი კი — მისი მსახიობი. სწორედ ეს ფრაზა ყველაზე უკეთ მიესადაგება პატარა გერმანული სოფლის ობერამმერჰაუს ყოფას. საქმე ისაა, რომ ყოველ მეათე წელს სოფლის მთელი მოსახლეობა სახარების მოტივებზე გრანდიოზულ სპექტაკლში მონაწილეობს და ექვსი თვის მანძილზე ყოველდღე „ქრისტეს ვნებებს“ თამაშობს! ასე ასრულებენ ბავარიის ამ კუთხეში თავიანთი წინაპრების მიერ 1633 წელს დადებულ აღთქმას, რათა სოფელი შავი ჭირისა და ათასი სხვა უბედურებისგან გადაერჩინათ.**

ბავარიის სოფელ ობერამმერჰაუში ისეთი ღირსშესანიშნაობებია, როგორებიცაა „იუდას“ ან „პილატეს“ სახლი, სადაც ის ოჯახები ცხოვრობენ, რომელთა წევრები ნახსენებ პერსონაჟებს თამაშობდნენ. ყოველ ათ წელიწადში ერთხელ დაბა თეატრის სცენად გადაიქცევა ხოლმე: მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით აქ ყოველ ცისმარე დღეს გრანდიოზულ სპექტაკლს აჩვენებენ, რომელშიც მაცხოვრის სიცოცხლის ბოლო დღეებისა და წამების ამბებია მოთხრობილი — მას




„ქრისტეს ვნებანს“ უწოდებენ. წარმოდგენაში უშუალოდ სოფლის მცხოვრებთა დაახლოებით ნახევარი, ორი ათასი კაცი მონაწილეობს. უსაქმოდ არც „არამსახიობები“ რჩებიან, რადგან ისინი მისტერიის მომზადებასა და ჩატარებაში ეხმარებიან.

— „ქრისტეს ვნებანის“ თამაშის ტრადიციას საფუძველი 1633 წელს ჩაეყარა, როცა ევროპას შავი ჭირი ანადგურებდა და ჩვენს სოფელშიც უამრავი კაცი დაიხოცა, — ამბობს იუდას როლის შემსრულებელი, ბურგომისტრის თანაშემწე მარტინ ნორტსი. — წინაპრებმა, რომლებმაც უფალს გადარჩენა შეავედრეს, აღთქმის დადება გადაწყვიტეს — ყოველ მეათე წელს მაცხოვრის ტანჯვათა გასახსენებლად წარმოდგენა გაემართათ.

**პირველი სპექტაკლი 1643 წელს გაიმართა პირდაპირ ეკლესიაში და... შავმა ჭირმა უკან დაიხია! მას შემდეგ ჩვენ ტრადიციას ვიცავთ და გვწამს, რომ იგი დღესაც მრავალი განცდისგან დაგვიცავს!**



მარტინის თქმით, მის ოჯახში ყველა მამაკაცი იუდას როლს ასრულებდა.

— ამ როლს ნელ-ნელა ვეპარებოდი, — იცინის ნორტსი. — სპექტაკლში პირველად ერთი ციდა როლი ათი წლის ასაკში შევასრულე. 1990 და 2000 წლებში იესო ვიყავი, მაგრამ „საოჯახო საქმის“ გაგრძელებაზე ვოცნებობდი. 2010 წელს კი, როგორც იქნა, იუდად ამირჩიეს. სხვათა შორის, ჩვენს სპექტაკლში იგი უბრალოდ „ცუდი ბიჭი“ არ არის. ეს ის კაცია, რომელსაც სასწაულებისა არ სწამდა, არ ესმოდა ქრისტეს ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟისა და არც კი წარმოედგინა, თუ რა საშინელების მოტანა შეეძლო „იმ“ ოცდაათ ვერცხლს. ბოლოს მანაც თავი გასწირა მაცხოვრის გულისთვის...

ბუნებრივია, რომ სოფლის თითოეული მცხოვრები სპექტაკლში თამაშს ნატრობს. როლებს რეჟისორი ანაწილებს, რომელსაც მაქიებლები თავიანთი სურვილების შესახებ ფოსტით ატყობინებენ.

— ქრისტიან შტიუკლი ობერამმერჰაუსში გაიზარდა, ისიც სპექტაკლებში მონაწილეობდა, მერე კი პროფესიონალი რეჟისორი გახდა და ახლა მიუნჰენის სახალხო თეატრში მუშაობს, — ამბობს მარტინ ნორტსი. — რეპეტიციებს შობიდან ვიწყებთ, ხოლო მაყურებლებისთვის „ქრისტეს ვნებანს“ მაისიდან ოქტომბრამდე ყოველდღე ვთამაშობთ დასვენების დღეების გარდა. სპექტაკლის სანახავად ხალხი მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ჩამოდის. ბევრჯერ ჩვენი დადგმების ტელევიზიისთვის გადაღება შემოგვთავაზეს, მაგრამ ჩვენ უარზე ვართ — ეს უბრალოდ თეატრალიზებული დადგმა ხომ არ არის, ეს უფლისთვის განკუთვნილი ძღვენია. ამდენად წარმოდგენის ჩვენება მხოლოდ „ცოცხლად“ შეგვიძლია.

წარმოდგენა ექვს საათს გრძელდება, ქრისტე კი ჯვარზე 20 წუთს ჰკიდია. ამ სცენისთვის ჩვენ ალპინისტების აღჭურვილობას ვიყენებთ. როცა ღია ცის ქვეშ ვთამაშობთ, როლის შემსრულებელს ხშირად უჭირს: ხან ცივა, ხანაც წვიმს...

სხვათა შორის, წარმოდგენები არც ომის დროს შეგვიწყვეტია. 1934 წელს კი „ქრისტეს ვნებანის“ სანახავად ჰიტლერი და ჰებელსიც იყვნენ ჩამოსულნი. ნაცისტების ბელადები რომ არ განგვერისხებინა, ცოტა რამ მაცხოვარი პლაკატებზე ბავარიელი გლეხივით გამოვსახეთ, რომლის ხელი ისე იყო აღმართული, კაცი ვერ გაიგებდა — ილოცებოდა თუ ნაცისტურ სალამს იძლეოდა! თანაც ტექსტიც ფრთხილად შევასწორეთ, რომ ქრისტეს ეროვნების საკითხი არ წამოჭრილიყო... სამაგიეროდ, მის მოწინააღმდეგე იუდეველებს აშკარად უარყოფითი ხასიათები ჰქონდათ. საბოლოო ანგარიშით, წარმოდგენა სამაგალითო ნაცისტურ ლექციად იქცა. ამან ჰიტლერზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, განსაკუთრებით კი იესოსა და მარიამ მაგდალინელის სცენამ აუჩუყა გული. 1944 წელს სპექტაკლები, გასაგები მიზეზით, არ გაგვიმართავს, ამიტომ თარიღმა გადაინაცვლა და ისინი 1950 წელს განვაახლეთ.

**ლალი ხუნდაძე**

## ჩვენი პრესდაიჯესტი



### „სიმართლე გითხრათ, ასეთ აშკარა უკანონობას არ ველოდით“

— აცხადებს ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი არჩილ კბილაშვილი, — იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებული დასკვნა, წესით, ითვლება იურიდიულ დოკუმენტად, მაგრამ არც ერთი იურიდიული წყობა გამოტანილი მოსაზრებების დასასაბუთებლად, თუ რის საფუძველზე არ აქვს ბიძინა ივანიშვილს უფლება ნაიურალიზაციის საშუალებით მიიღოს მოქალაქეობა, მითითებული არაა.

**„საერთო გაზეთი“**

### დაიდგმება თუ არა თბილისში სომეხთა გენოციდისადმი მიძღვნილი მემორიალი?

არმენოლოგის მეცნიერებათა დოქტორის ბონდო არველაძის აზრით, ცოტა ჭკუას უნდა მოვუხმოთ: „არქიეპისკოპოსი კარაპეტი მოუძღოდა სომხებს საქართველოსკენ, როდესაც ჯავახეთში შევიდნენ, კარაპეტმა თავისი ჯოხი სამჯერ დაარტყმა ქართულ მიწას და თქვა: „ძმებო! მშობლიური სომხური მიწიდან ისევ სომხურ მიწაზე ვბრუნდებით!“ ამ კარაპეტს უდიდესი ღვაწლი აქვს ახალქალაქში, ახალციხესა და წალკაში სომხების დასახლება-დამკვიდრებაში. სომხებმა დაუფასეს კარაპეტს ამაგი — რამდენიმე წლის წინათ კარაპეტ არიზიკიან-ბაგრატუნს ძეგლი დაუდგეს ახალქალაქში.

**„ქართული სიტყვა“**

### „სააკაშვილს ქონებას მაინც წავართმევთ!“

— დარწმუნებულია ჯონდი ბაღათურია, — მივმართავ პრეზიდენტს, თავისი ნებით დათმოს უკანონო გზით შეძენილი ქონება, მათ შორის კახეთში რომ აქვს ზვრები მოწყობილი...

**„ახალი თაობა“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

**განცხადება**

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).
ფასი შეთანხმებით.
ტ. 593 537-988, 551 480-096.

## კადრი



## ანეკდოტები

— ალო, ეს ქალთა კონსულტაციაა?
— დიახ, გამარჯობათ.
— მითხარით, მუხრუჭის პედალი მარცხნივაა თუ მარჯვნივ?

* * *

— მითხარი, ოღონდ გულწრფელად, იმ ოცი წლის მანძილზე, რაც ერთად გვიცხოვრია, ჩემთვის ერთხელ მაინც თუ გიღალატია, თუნდაც ფიქრებში? — ეკითხება ქმარი ცოლს.
— თუ გულწრფელად გინდა, ფიქრში არც ერთხელ არ მიღალატია...

* * *

თუ დიდი მკერდი ქალის ერთადერთი ღირსებაა, მაშინ ნაკლოვანებები მას არ ჰქონია.



* * *

იგი ისეთი მუტრუკი იყო, რომ მისი მკვლელი ბრაკონიერობისთვის გაასამართლეს.

* * *

— მითხარით, ეს სალათა დღევანდელია?
— მეტსაც გეტყვით, ის ხვალინდელიც კი არის!

* * *

საკმაოდ უცნაური რამეა ეს ხმის სიჩქარე. მშობლები რაღაცას გეუბნებიან ოცი წლისას, შენამდე კი იგი მხოლოდ ორმოცი წლის ასაკში მოდის.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს−323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24